შაბათი, 1918 წ. მარტის (13 № 70
წელიწადი მეოთხე

შაბათი, 1918 წ. მარტის 31 (13) № 70
ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ., რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერი მიიღება მხოლოდ [illegible] ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილებში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. „უსასყიდლოდ“ გამოგზავნილი ხელნაწერი [illegible] არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9-3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ., 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადებების ფასი სტრიქონის პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. [illegible] განცხადებათა ფასი ორმაგი მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

კვირას აპრილის 1 წმიდა ნინოს სასწავლებლის მე 6 კლასის მოწაფის

ანნა სოლომონის ასულის
მაჩაბლის

გარდაცვალებიდან მეცხრე დღის [illegible] ქაშვეთის წ. გიორგის ეკლესიაში დილის 11 საათზე გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებულის მამა, დედა და და. 1—1565—1)

ხვალ, კვირას, 3 [illegible] აპრილს, [illegible] წმიდა [illegible] გარდაცვალებიდან [illegible] წლის [illegible] ტრაგიკულად გარდაცვლილი

ილარიონ (ილო)
ფორაქიშვილის

სულის მოსახსენებლად

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გულით მწუხარე მშობლები თინათინ გიორგის ასული და დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილები; ძმები: გიორგი, [illegible] და ირაკლი; და—ლიზა [illegible]. 1—1561—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის ცენტრალ კომიტეტი

განმეორებით იწვევს სამშაბათს, აპრილის 3 (ძველი სტილით), საღამოს 6 საათზე, [illegible]

თბილ. ყველა საუბნო კომიტეტების შეერთებულ კრებას.

კრებაზე უნდა გამოცხადდნენ ყველა საუბნო კომიტეტები მთელის შემადგენლობით, ხოლო კრებამდე კომიტეტებმა უნდა წარუდგინონ ცენტრალ კომიტეტის ბიუროს ანგარიში თავისის წევრების შესახებ (მოხსენებები მიიღება ბიუროში ყოველ დღე 1—3 საათამდე).

კომიტეტის წევრს, ვინც არ გამოცხადდება ხსენებულ კრებაზე დაუსწრებლობის საპატიო მიზეზის წარმოუდგენლად, კომიტეტიდან გარიცხულად ჩაითვლება, ხოლო ორგანიზაცია, რომელიც დანიშნულ დრომდე მოხსენებას არ წარმოადგენს და კრებაზე თავისს წარმომადგენლებს არ გამოგზავნის, დაიხურება და დანიშნული იქნება ახალი არჩევნები, ან თბილისის ცენტრალი კომიტეტი თვით შეადგენს [illegible] საუბნო კომიტეტს.

ქართული დრამატიული საზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალურ პიესებისთვის.

პირველი	პრემია	(ერთი)	1000	მან.
მეორე	პრემია	(ორი)	700	მან.
მესამე	პრემია	(ერთი)	500	მან.

პიესებს განიხილავს ამისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დახურულ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს თავისს სახელს, გვარს და პიესების სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც [illegible], რომელ პიესას რა პრემია აქვს მინიჭებული.

პრემიით დაჯილდოვებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა განსაკუთრებით დრამატიულ საზოგადოებას მხოლოდ 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დაწესებულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარედგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით: ქართული დრამატიული საზოგადოების კონტორა.
3—135—1

კოოპერატივ „ივერიის“
დროებითი გამგეობა

აცნობებს კოოპერატივში ჩაწერის მსურველთ საჩქაროდ ჩაეწერნენ კოოპერატივის წევრებად.

საწევრო ფული—5 მანეთია, საპაიო—50 მანეთი.

წევრად ჩაწერა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში, ჩვენის პარტიის ცენტრალ კომიტეტის ბიუროში (ამამშევის ქარვასლა), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში—ივ. ავალიშვილთან და თბილისის სასტუმროების პატრონების პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში (თეატრალური შესახვევი).

კოოპერატივი დაიწყებს მოქმედებას აპრილის პირველ ნახევარში.
—2

ქართული კლუბი

შაბათს, მარტის 31-ს, 1918 წ. ქართულ დრ. მსახიობთა მიერ ეფ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა

მედეა

დრ. 5 მოქმ., თარგ. [illegible] მესხისა.

მონაწილეობენ: ქალნი: ეფ. მესხი, ან. [illegible], ს. [illegible]. ვაჟნი: ი. ზარდალიშვილი, პლ. კორიშელი, იგ. [illegible], გ. მაჭავარიანი, მ. სარაჯული, ი. თარალაშვილი და სხვა.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ◆◆ ბილეთების ფასები ხელმისაწვდენია.
1—936—1

ქართული თეატრის
აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წ-დე) გამოცხადდნენ ჩასაწერად სრულიად ახალ დასის შესადგენად. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დააარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ თბილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს [illegible], ფარიკაობას, ცეკვას, ხმის დაყენებას და გარდა ამისა [illegible]—სიმღერას. თუ რომელსამე მოწაფეს [illegible] მუსიკის ნიჭი, შეისწავლის [illegible] იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანცელარიაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყო 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანცელარია ღიაა დილის 10 საათიდან 2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

თბილისს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით გაეცნონ ამ მისამართით.

4—931—4 ქართული დრამატიული საზოგადოება.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სამკურნალოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („[illegible]ნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი

იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენებს 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად შინაგანი (კუჭის) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მისაკოვის ქ. № 11. თ—1536—10

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

[illegible] შინაგან სნეულებათა კლინიკის. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებისას სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. [illegible] ქუჩა № 7, [illegible] ძეგლის ახლო, სასტუმრო „[illegible]-მონდის“ პირდაპირ.
თ—1018—19

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

[illegible] კლინიკის.

[illegible] შინაგან და ქრონიკულ [illegible] ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—2[illegible].

ექიმი
დიმიტრი (რაჟდენ) იოსებიძე

ჟორდანია

სწავლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული [illegible] და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, [illegible].
ტელეფონი 14—37
1თ—960—27

სოფ. საგარეჯოში
(გარე კახეთი)
ყოველ კვირაობით იმართება

ბაზრობა

რასაც ვაცხადებთ მეზობელ სოფლების საყურადღებოდ.
3—1563—1

წმ. ნინოს ეკლესიის კრებული

ამით აცხადებს რომ, კვირას, აპრილის 1-ს, დანიშნულია წმ. ნინოს ეკლესიის მრევლთა

საზოგადო კრება
სამრევლო საბჭოს და მნათის ამოსარჩევად

კრება დაიწყება ნაშუადღევის 3-ს საათზე ეკლესიის სამრევლო შენობაში.
2—1560—1

კოოპერატივი „ივერია“

გაიხსნება აპრილის პირველ ნახევარში.

წევრად ჩაწერა შეიძლება „საქართველოს“ კონტორაში, [illegible] კოოპერატივის ბინაზე (ამამშევის ქარვასლა), წერა-კითხვის გამავრცელებელ წიგნის მაღაზიაში, ივ. ავალიშვილთან და თბილისის სასტუმროების პატრონთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში (თეატრალური შესახვევი). (5—1)

ქართული კლუბი

კვირას, 1 აპრილს, 1918 წ. ქართულ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ანტ. ფურცელაძისა

დიდი მოურავი
(გიორგი სააკაძე)

დრამა 5 მოქმედ. და 7 სურათად.

მონაწილეობენ ქალნი: ს. [illegible]ქანიშვილი, [illegible], ან. [illegible]; ვაჟნი: ნ. [illegible], ი. [illegible], ალ. იმედაშვილი, პლ. კორიშელი, გ. მაჭავარიანი, ი. [illegible], მ. სარაჯული, ზ. [illegible], [illegible], ნ. ციციშვილი, ი. თარალაშვილი, ი. კობახიძე, [illegible] და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე ◆◆ ბილეთები იყიდება.

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა. 11, სამეფო სახლი) დილის 11—3-მდე

ეროვნული თავდაცვისათვის

ნოე ჟორდანიამ თოფი [illegible] და ბათუმს მიაშურა. მხცოვანმა ქართველმა თავის მაგალითით ამცნო ერს ეროვნული განსაცდელის მიახლოვება.

ბათუმს მტერი მოუახლოვდა. ბათუმს მტერი შემოერტყა და მისი დაცვა ძალთა უკიდურეს შემოკრებას მოითხოვს.

ნოე ჟორდანია ბათუმის დამცველებს გაუძღვება და ეს თავმდებია, რომ მებრძოლთ სიმხნევე და თავგანწირულება არ დასტოვებს. ნოე ჟორდანია ხელმძღვანელი და მეთაური იმ პოლიტიკური გეზისა, რომელსაც ჩვენ განვიცდით. მრავალი პასუხისმგებლობა და მოვალეობა აქვს დაკისრებული ამ პირს ერის წინაშე. გასაგებია, რომ მრავალ წლობით ნაცადი იარაღი მან თოფზე გასცვალა, როდესაც ბათუმისა და მთელი საქართველოს დაცვა თოფ-ზარბაზნით შეიძლება მხოლოდ.

და ამ საბედისწერო მომენტში ყველა ქართველი ჟორდანიას უნდა გაჰყვეს თოფით ხელში. მის მიერ აღზრდილი პარტიული მოღვაწენი, მისი პარტიული მოწინააღმდეგენი და დანარჩენი ერი, რომელიც ამ პარტიული დანაწილების გარეშე სდგას.

გაჰყვება თუ არა ჟორდანიამ ისეთი გზა, რომელზედაც შესაძლოა დადგეს მთელი ქართველი ერი და მას გაჰყვეს? ასეთი, ერთად-ერთი გზა საქართველოს დაცვა, ეროვნული მიწა-წყლისა და თავისუფლების დაცვა. ჩვენ გვრწამს, რომ ამ გზას უნდა დაადგეს მთელი ერი, ქართველი ერი, განურჩევლად საზოგადოებრივი დანაწილებისა და პარტიული შემადგენლობისა.

ვინც საქართველოს თავდაცვის საქმეს გვერდს აუხვევს, გზიდ დადგება, ან აშკარად მას წინააღმდეგება, ასეთი პირები ან შეგნებული მოღალატენი იქნებიან თავისი ქვეყნისა, ანდა შეუგნებელი იარაღი სხვის ბოროტ ხელში.

ასე რომ ვერ აღმოჩნდებიან. ბევრი მათგანი ვიწრო პარტიული [illegible] არის შეპყრობილი და დაბრმავებული. ზოგი კი თავის თავს არ სცნობს საქართველოს ეროვნული სხეულის ნაწილად და [illegible] ჩვენი ძალებით [illegible]. ეროვნული განსაცდელით გამოწვეულმა ეროვნულმა გრძნობამ უნდა წაშალოს ჩვენი ცხოვრების ეს მავნე და ხორცმეტი მოვლენები. უნდა შექმნას ერთი ეროვნული ფრონტი, ფრონტი თავდაცვისა.

უნდა დავივიწყოთ პარტიული ქიშპობა და დავივიწყოთ მთლიანი სოციალისტური თუ გაერთიანებული ამიერ-კავკასიის დემოკრატიული ფრონტი. ეს ყოველივე მხოლოდ ჩვენს ოცნებაში თუ არსებობდა, თორემ სინამდვილეს არ წარმოუშვია. აქნამდე არსებობდა მხოლოდ ბრძოლა და უთანხმოება ამიერკავკასიის დემოკრატიის შორის, თვით სოციალისტურ ელემენტებშიაც, ეს ესე დარჩება მომავალშიაც, ვინაიდან ამ ჟამად უკვე აღარ არსებობს ისეთი პლატფორმა, რომელზედაც შესაძლო იყოს ამიერკავკასიის ყველა ძალთა შეთანხმება და გაერთიანება.

თავისუფალ ამიერკავკასიაში დღემდის ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ქართულ ძალებს. ქართული რაზმები იცავენ წესრიგს აქ და იქ, თავის მიწა-წყალზე და სამშობლოს გარეშე. ქართული შემადგენლობის პოლიტიკური ძალები მეთაურობს ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ ამ პოლიტიკას დღემდის საქართველოს თავისთვის არა უხსნავს რა.

დღეს, საქართველოსთვის საბედისწერო ჟამს, ჟორდანიამ იგრძნო, რომ ქართული ძალებით, უწინარეს ყოვლისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საქართველოს დაცვაა საჭირო. ისეთი ერთად ამას ჰგრძნობს და განიცდის, ანუ უკედ რომ ვთქვათ, მხოლოდ ჰგრძნობდა ის მიმართულება, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ. ეჭვი არ არის, ამ პლატფორმას ყველა გაიზიარებს, გარდა უმნიშვნელო ჯგუფებისა და ელემენტებისა. მაგრამ ეს იდეურად, პრინციპიალურად. ფაქტიურად ამ გზას ბევრი დაერიდება და ჩვენ ვიცით, თუ ვინ უფრო დაერიდება მას —ქართველის მახლობელი წრეები, თუ მისი უფრო შორეული მიმართულებანი. მთავრობის სათავეში ერთი მიმართულება სჩქეფს, დაბლა, მასაში სხვა და სხვა ლტოლვილება იჩენს თავს და ეს ხდება არა ერის სხვა და სხვა ჯგუფებში, არამედ ერთსა და იმავე პარტიაში, ერთსა და იმავე ფრაქციაში. ზევიდან ხალხს შეერთებისკენ მოუწოდებენ ერის ყველა ჯგუფებს და მიმართულებებს. უფრო დაბლა ამ უმაღლესი ნებას განმახორციელებელნი ვიწრო ჯგუფურ პოლიტიკას აწარმოებენ, პარტიულ კონკლავებს ემსახურებიან და პროვოკაციას არ ერიდებიან. ამით ბათილდება, იშლება მეთაურთა ნაკვეთები, რომელიც კი ეროვნულ თავდაცვისკენ არის მიმართული. სოციალ-დემოკრატიის სათავეში, რომ წმინდა ეროვნული ნაკადი აღმოჩქეფს, მისი დიდი ხნიდან დაგუბებულს ქაობში იღუპება და თუ უქმად ჩაივლის ეროვნული აღფრთოვანება და ეროვნული აღტყინება, რომელიც გამოიწვია ჩვენს სამშობლოზე მოხდენილმა განსაცდელმა, ამის მიზეზი იქნება ის ვიწრო, დახშული, სტიქიური ძალები, რომელნიც გაბატონებულნი არიან ამჟამად ჩვენს სამშობლოში.

შეიძლებს თუ არა სოციალდემოკრატია ეროვნული პოზიცია დაიცვას და შეინარჩუნოს საქართველოს მიწაწყლის და თავისუფლების დაცვაში? ამაღლდებიან ისინი თავის ვიწრო ჯგუფურს ინტერესებზე და ამ საბედისწერო დროს უმაღლეს, ეროვნულს თვალთაზრისით გაიმსჭვალებიან, თუ ზავისა და ომის საკითხში, ბათუმისა და ბათუმის მხარის დაცვის საქმეშიაც თავის ვიწრო ჯგუფურს ინტერესებს ვერ გასცილდებიან, და სიტყვით ერთს იტყვიან, საქმით კი საწინააღმდეგოს აკეთებენ. მათ იციან რას მოითხოვენ მთელი ქართველი ერის რეალური ინტერესები, არა უბრალო ეროვნული თავმოყვარეობა, არა შოვინისტური ლტოლვილება, არამედ მისი არსებითი ეროვნული ცხოვრების უეჭველი ინტერესები. ბათუმი და ბათუმის ოლქი თავისუფალს საქართველოში, ან ბრძოლა და ომი, რაც უნდა სამძიმო იყოს ეს მშვიდობიანობის და ზავის დაგვიჯდება. სხვანაირად, არ შეიძლება რომ იყოს ქართული აზრი, ეროვნული თვალთაზრისი. გვახსოვდეს ყველას, როგორც ზევით, მთავრობის სათავეში, ისე დაბლა ხალხის მასაში.

დამაფიქრებელი

(აჭარის გარშემო)

ამ საერთო უბედურობის ჟამს ყველაზე უფრო დამაფიქრებელი საქართველოსათვის აჭარას ქცევა არის. შეუძლებელია „დინჯი გრძნობით“ შეხედო ამ ქცევას:—აქ არის რაღაც საბედისწერო თვითონ საქართველოსათვის. „ერთობის“ მე-70 ნომერში მოთხრობილია რ. ჩიხლაძის მიერ, თუ როგორ შეხვდა აჭარა ამიერ-კავკასიის დელეგაციას. ლაპარაკობს გლეხი იუსუფ რაჭიშვილი ერთობისათვის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის,—და ძლიერი ხმა დიდძალი ყრილობიდან საშინელს სადისხნისო მახვილით განკვეთს მის აფრთოვანებულს სიტყვას: გაისმის: „არ გვინდა თქვენი ერთობა!“ სიტყვას მიმართავს ირ. ამირეჯიბი შესაფერი სახალო გუნების გასამართავად,—და მას ვიღაც მუქარით ეხმიანება: „ნუ მიკიბ-მოკიბავთ, პირდაპირ გვიპასუხეთ!“ ლაპარაკობს თვითონ მთხრობელი—რ. ჩიხლაძე: იმასაც სიტყვას აწყვეტინებენ მრავალგზის. მართალია, მომთხრობელი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას,—ლაპარაკის დროს ვამჩნევდი, რომ ხალხის მასსა სხვას ფიქრობს (—„ბევრი მეთანხმებიან, ნიშნად თანხმობისა თავს მიქნევენ. ვხედავ გაბრწყინებულ მათს სახეებს, გაშლილ შუბლს, ვხედავდი უბედურთა თვალებს სიყვარულითა და თანაგრძნობით სავსეს. ეს თვალები, ეს სახეები უბედური აჭარლებისა ღრმად აღიბეჭდა ჩემს შეგნებაში, მათ დამარწმუნეს, რომ ხალხის გული სხვას გრძნობს, „მეთაური“ კი სხვას ჩასძახის, ხალხის გონება ერთს ფიქრობს, „მეთაური“ კი სხვას აჩვევს თავს“—),—მაგრამ ბოლოს მაინც სასოწარკვეთილი შთაბეჭდილება გამოაქვს და თითქმის სამუდამოთ ეთხოვება აჭარის მიდამოებს. ასეთია უტყუარი სურათი.

სწორედ რომ დამაფიქრებელია: ჩვენი ღვიძლი ძმა ჩვენ აღარ გვცნობს:—ჩვენ შორის რაღაც უფსკრული ყოფილა გათხრილი. რა არის ეს უფსკრული? ისლამის რწმენა,—ისიც ისტორიული უკუღმართობით მიღებული. სხვა მხრით აჭარა ჩვენია სრულად: ენა, ადათი, ზნე, ჩვეულება. როგორ მოხდა, რომ სარწმუნოებამ ასე დაგვაცილა? ხომ ვიცით, რომ ერთსა და იმავე ერში სხვადასხვა სარწმუნოებით არიან დაყოფილნი, მაგრამ ამით მათი ეროვნული სიმთელე ოდნავადაც არ ირღვევა?! რელიგია რწმენის საკითხია, ეროვნება კი—სისხლის, ისტორიის, ფსიხიკის. მაშ როგორ დაგვანაწილა ასე სჯულმა, რომ ერთი მეორისათვის მტრები გამოვედით?

პასუხი შესაძლოა ორნაირი იყოს.

პირველი. ისლამი არ არის სჯული მარტო: მასში ბევრი რამ არის იმ ელემენტებიდან, რომელნიც ეროვნების საკავშირო მასალად იხმარებიან. სწორედ ისე—როგორც ებრაელობა: უკანასკნელი არ არის მარტო სჯული: კიდევ მეტი: იგი თვითონ ეროვნებაა. და აი: ისლამში გადასული სული ეროვნულად გვარდება. ასე მოხდა ალბად აჭარლების გადაგვარებაც, მათ ისტორიულად მიიღეს ისლამი და ისლამმა მათი ეროვნული (ამ შემთხვევაში—ქართული) ფსიხიკა შესცვალა, გადახარა „თათრობისაკენ“.

მეორე. შესაძლოა, იმ ხანებში, როცა აჭარა ოსმალეთში მოექცა, ქართული ეროვნული სული მისუსტებული იყო ძალზე: დაავადებული, დონე მიხდილი, მოქანცული. სუსტმა ეროვნულმა სულმა აჭარლებში ვერ გაუძლო ძლიერს ისლამურს რელიგიურ ნებას და კიდეც გადაგვარდა იგი: მასში სჯულმა სძლია ეროვნებას. ალბათ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ აჭარელი თავის თავს „თათარს“ უწოდებს,—თუმცა [illegible] ქართული სიტყვით.

ასეთია შესაძლო ორი ახსნა. ჩვენ სიმართლეს ორივეში ვპოვებთ. კიდევ მეტი: ჩვენ ორივე შეხედულების შეერთება მიგვაჩნია სიმართლედ. ისიც მართალია, რომ ისლამი არ არის მარტო სჯული,—და ისიც მართალია, რომ აჭარლების გადახრაში „თათრობისაკენ“ ეროვნული სულის დაუძლურებასაც ჰქონდა მნიშვნელობა. ამ ორმა ფაქტორმა წარმოშვეს დღევანდელი აჭარა—ჩვენი გადაგვარებული ძმა, რომელსაც აღარ ესმის ინტერესი ერთი მთლიანი „საქართველოსია“.

ყოველ შემთხვევაში ეს უბედურება დამაფიქრებელია მეტად. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ორივე ფაქტორს. განსაკუთრებით—მეორეს. თუ დღევანდელ უბედურებას გადავურჩით, ჩვენი პირველი მოვალეობა და აუცილებლობა ეროვნული სულის განმტკიცება და გამოკვეთა იქნება. ჩვენ დღეიდან მაინც უნდა ავღიაროთ, რომ მარტოდ მარტო „ფიზიოლოგიური“ ყოფა დიდს არაფერს ნიშნავს ეროვნული ყოფისათვის. აჭარას ენა უმეტესად ქართულია,—მაგრამ ფსიხიკა, ის რაღაც უხილავი და ხელუხლები, რომელიც ერთიმეორეს უკავშირებს ბუნების საშოს წიაღში, ეს ფსიხიკა აჭარას აღარ აქვს, დაუკარგავს. და აჭარის საშინელი მაგალითის შემდეგ სწორედ ამ „ფსიხიკის“ გამოაშკარავება (გამოკვეთით სჯულში, ხელოვნებაში, აზროვნებაში, ისტორიულობაში) უნდა იქცეს დიად საგნად საკულტურო შემოქმედებისა.

დღეს კი ჩვენი ხსნა მარტო ხმალსა აქვს მინდობილი. შესაძლოა ხმალი ხელში გაგვიტყდეს, მაგრამ ხმალს ჩვენ არ უნდა ვულალატოთ.

გავა გოლდენდ.

ზავის გარშემო

გერმანელების მოთხოვნილება

გერმანელებს სახალხო კომისრებისგან მოუთხოვნია საზავო ხელშეკრულების მნიშვნელ პირობათა შესრულების გარანტია. გარანტიას მოითხოვენ განსაკუთრებით ეკონომიურ საკითხებში.

ვილჰელმის მეგობარი პეტროგრადში

პეტროგრადში ჩამოვიდა ვილჰელმის ცნობილი მეგობარი გერმანულ-ამერიკულ სანავოსნო საზოგადოების დირექტორი ბალინი. ბალინს დავალებული აქვს დიდი მისია.

ფრანგული პრესა და რუსეთის ზავი

რუსეთის ბოლშევიკურ ზავს ფრანგული პრესა „რუსეთის დეზერტირობას“ უწოდებს. მრავალი გაზეთი ერთად ერთ იმედს ეხლა იაპონიაზე ამყარებს.

რუსეთი

ინგლისელთა მისია სევასტოპოლში

სევასტოპოლში ჩამოვიდა ინგლისელთა მისია. მისი მიზანი არ იციან.

საჰაერო ფოსტა

ელისავეტოგრადის, კრემენჩუგის და ხერსონის შუა საჰერო ფოსტა მოქმედობს. წერილები, დეპეშები და ფული ჰაეროპლანებით გადააქვთ.

ბოლშევიკების ყრილობა მოსკოვში

ბოლშევიკების უკანასკნელ ყრილობაზე სვერდლოვმა განაცხადა, რომ პარტიის ყველა წევრებთა რიცხვი 300.000 არ აღემატება.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბოლშევიკების წინააღმდეგ

ყირიმიდან მოსულ ცნობებით ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ამჟამად წინააღმდეგობს კალედინის რაზმს, რომელიც ცარიცინისკენ მიიწევს.

ალექსანდრა თეოდორეს ასულის შუამდგომლობა

მოსკოვი. ნადიდოფლარი ალექსანდრა თეოდორეს ასული სთხოვს საბჭოთა მთავრობას, რომ ნება დართონ შვილი ალექსანდრე სამხრეთის ერთ ერთ ქალაქში გადმოიყვანოს საცხოვრებლად, რადგან მის ციმბირში დარჩენა, ექიმების მოწმობით არ არგებს მის ჯანმრთელობას.

ერთდროული გადასახადი

დონეცის და კრივოროგის სახალხო კომისართა საოლქო საბჭომ ერთდროული გადასახადი შეაწერა ოლქის ყველა მსხვილ კაპიტალისტებს და ვაჭარ-მრეწველებს. გადასახადი 42 მილიონს აღწევს და ასეა განაწილებული. ქალაქ ხარკოვმა უნდა გადაიხადოს 5 მილიონი, ეკატერინოსლავმა, 3 როსტომა 10, სუმიმ 2, იუზოვკამ 2, ტაგანროგმა 2, მარიუპოლმა 1, ლუგანსკმა 1, ნოვოჩერკასკმა 10 მილ. ნახიჩევანმა 5 მილ., როსტოვ'ამა, ნახიჩევანში და ნოვოჩერკასკში ფულების აკრეფა დაავალა ანტონოვს.

მთავარ-ბანაკის დაშლა

ორიოლიდან იტყობინებიან, რომ ზავის შეკვრის შემდეგ მთავარ ბანაკი დაიშალა. არჩეულია საკანტროლო სალიკვიდაციო კომისია. გაზ. „რევოლიუციონური ბანაკი“ ორიოლში გადაგზავნით.

რუსეთის გაყიდვა

პეტროგრადულ გაზეთებს სწერენ კიევიდან: ადგილობრივ სოფლებში ჰყიდულობენ სურსათს გერმანეთში გასაგზავნად. ნოვგრად-ვოლინსკის, ოსტროჟსკის, ლუცენსკის და სტაროკონსტანტინოვის მაზრებიდან ჰგზავნიან რამდენიმე მილიონ ფუთ ხორბალს და კვერცხს. გერმანეთშივე ბროდის სადგურიდან იგზავნება მილიონ ფუთობით კარტოფილი, ქერი, თივა და სხ. იჩეხება საუკუნოებით შენახული ტყეები და დიდძალ ხე-ტყეს ჰგზავნიან ავსტრია-უნგრეთში.

გენერალ კორნილოვის მოქმედება

კორნილოვმა ხელ ახლა იჩინა თავი. როსტოვიდან ტუაპსემდის კორნილოვის შესახებ ლაპარაკობენ. ვინმე სიბირცევი მოგვითხრობს: როსტოვიდან ჯავშნიან მატარებლით კორნილოვის წინააღმდეგ 120-მდე კაცი წამოვიდა. სადგურ ბელორეჩენსკაიასთან (არმავირ-ტუაპსეს რკინის გზა) უნდა შეხვედროდნენ გენერალის ჯარებს. სად. ბელორეჩენსკაია კორნილოვმა დაიჭირა. ტუაპსეში ადგილობრივ მთავრობას გადაუწყვეტნია კორნილოვის წინააღმდეგ გალაშქრება. შეუკრებია 100 კაცამდე, მაგრამ ეს რაზმი მალე დაშლილა.

უკრაინაში

ფონ-ეიხგორნი უკრაინაში.

გენერალ-ფელდმარშალი ფონ-ეიხგორნი მოსულა კიევში, რათა უკრაინაში მყოფ გერმანელთა ჯარს ესარდლოს.

უკრაინის საჩუქარი.

გერმანული „რეინო-ვესტფალის გაზეთი“ იუწყება, რომ 15 აპრილამდე უკრაინამ უნდა ჩააბაროს გერმანეთს 4.300 ვაგონი ხორბალი, 1.200 ვაგონი ხილი, 2.000 ვაგონი ხორცი და 1.000 ვაგონი ქონი.

ამ სურსათს გერმანეთი და ავსტრია-უნგრეთი შუაზე გაიყოფენ.

რადიო-ბიულეტენი

მარტის 30

ბერლინი. აპრილის 11. საღამოს ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. ბრძოლა არმანტიერთან ჩვენ სასარგებლოდ ვითარდება. ჩვენ არმანტიერის განაპირა 6 წერტილში შევიჭრით. ეტერის სამხრეთით მდ. ლაზ რამდენიმე ალაგას გადავლახეთ.

ოსმალთა ფრონტი. პალესტინის ფრონტი. ინგლისელები დღეს განაგრძობდნენ ძლიერ იერიშებს. არტილერიის ცეცხლის დახმარებით ინგლისელებმა აიღეს ჩვენი პოზიციები რახაფას აღმოსავლეთით. მოკლე ხნით დაკარგული ადგილი დიდი კონტრიერიშის შემდეგ უკან დავიბრუნეთ. ყველა პოზიციები შევინარჩუნეთ. სამხედრო ტყვეთა სიტყვით ინგლისელები ამ ბრძოლაში ძალიან დაზარალებულან. ჰეჯაზში ბრძოლის დროს ჩვენ ხაზებზე მტრის საფრენს დავუშინეთ და ერთი [illegible] მოვკალით.

კავკასიის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. სხვა ფრონტებზე არაჩვეულებრივი არაფერია.

ბერლინი. აპრილის 11. (ახ. სტ.). გერმანეთ-ავსტრიის უნგრეთის ოფიც. აპრილის 9-დან არმანტიერთან ბრძოლა განუწყვეტლივ სწარმოებს. ფონ-კვასტის ლაშქრობამ არმანტიერსა და ფესტუბერტის შუა დაიპყრო ინგლისელთა და პორტუგალელთა პოზიციები. მდ. ლისი და ლაზის სამხრეთ-მხარეზე შუაგრენისა და ნევშაპელის დაცემის შემდეგ დიდი წინააღმდეგობის გასაწევად მოწყობილი და ძალიან გამაგრებული ქაოსიანი ადგილი ავიღეთ. გენ. ფეფესის ენერგიულ დახმარების წყალობით აპრილის 9-ს, საღამოთი ავიღეთ გადასავალი მდ. ლისზე ბაკ-სენტ-მორტთან.

აპრილის 11. ღამის ოფიციალი. შტაბის უფროსი აპრილის 9-ს ბრძოლის შესახებ იტყობინება: ბრძოლა ადგილობრივმა პირობებმა და უამინდობამ გააძნელა. დაჭრილები ყუმბარების მიერ ამოთხრილ ორმოებში იღრჩობოდნენ, რადგანაც ორმოები მაშინვე ივსებოდა წყლით, ყველა ამის გამო ინგლისელებს ეგონათ, რომ გერმანელები არმანტიერთან ვერ გაარღვევდნენ მათ ფრონტს, ჩვენ ჩავაჩუმეთ მათი არტილერია ქარიშხალისებურ ცეცხლით. იერიშების დროს პორტუგალელები დიდ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. პირველად წამოყვანილ ტყვეთა სიტყვით პორტუგალელთა მთელი პოლკები გარბოდნენ ჰაზებრუკისაკენ. არტილერიის საშუალებით მტრის სიმაგრეთა შერყევის შემდეგ დაიწყო ინგლისელთა ლაშქრის განადგურება. ინგლისელთა დივიზიის ერთი ნაწილი ტყვედ წამოვიყვანეთ. გერმანელთა დიდი ძალი ქვეითა ჯარი ლისს გადავიდა. ინგლისელთა სარდლების გამოუცდელობის გამო პორტუგალელებმა დიდი ზარალი ნახეს. ამ ახალი დამარცხების შედეგად ის მოჰყვება, რომ ფრანგებმა კიდევ უნდა დაიჭირონ ინგლისელების ადგილი ამათ ფრონტის ერთ ნაწილში. ლაფაერის დასავლეთით მოკლულ ინგლისელ ჯარისკაცებს აღმოაჩნდათ, როგორც წინა ბრძოლაშიაც, თავწყვეტილი ტყვიები.

ვენა. აპრილის 11. იტალიის ფრონტი. ჩვენი ჯარი მარჯვედ აწარმოებს იერიშებს გარდას ტბის დასავლეთით და ბრენტაში.

ლონდონი. აპრილის 11 ქვედა პალატაში 323 ხმის უმეტესობა წინააღმდეგ 100-ისა მიღებულ იქნა სამხედრო სამსახურის ახალი კანონი.

ბუქარესტი. აპრილის 11. რუმინეთის მინისტრ-პრეზიდენტი კიშინიოვიდან დაბრუნდა. 2 დღის თათბირის შემდეგ ბესარაბიის სათათბირო ყრილობამ 36 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 3 გადასწყვიტა რუმინეთთან შეერთება.

ამსტერდამი. აპრილის 11. ბელგიელთა დამხმარე გემი ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. მგზავრები გადაარჩინეს.

სტოკჰოლმი, აპრილის 11. გაზეთები გადმოგვცემენ: ინგლისის ნავთსადგურებში მდგარ შვედურ გემების უფროსებს ინგლისის მთავრობამ მოსთხოვა, რომ გემებიდან არ გადმოვიდნენ ხოლმე. ვინც ამას არ დაემორჩილება შვეცარიაში წასასვლელად პასპორტები არ მიეცემათ.

მოსკოვი. მარტის 29. თბილისი. სახელდ. ბერლინი. გარეშე საქმეთა სამინისტროს. დაბადებულ გაუგებრობის გამო გარეშე საქმეთა კომისარიატი სთხოვს გერმანეთის მთავრობას, რუსეთში გამოსაგზავნ ტყვეთა რაზმებს ნუ გამოატანს ბრესტის ხელშეკრულობის ძალით რუსეთისაგან ჩამოშორებულ და ცენტრალ სახელმწიფოთა ჯარის მიერ დაპყრობილ ადგილების მცხოვრებლებს.

პარიზი. აპრილის 11. ეიფელის კოშკიდან, მონტდიდიერის ჩრდილოეთით და ლასინის რაიონში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული. წინა ღამეს და დღეს დილით ფრანგებმა მოიგერიეს გერმანელთა ორი ძლიერი იერიში ნუაიონის სექტორში, მდ. მეუზის ორივე მხარეზე და კრეტის ტყეში დროგამოშვებით ზარბაზნების სროლაა.

მფრინავთა მოქმედება: მარტის განმავლობაში ლაშქრის საჰაერო ძალებმა ძირს ჩამოაგდეს [illegible] 26 საფრენი, ამათგან 8 ღა[illegible] ამას უნდა მიუმატოთ კიდევ 2 ს[illegible]ენი, რომელიც პარიზის მერინაგ[illegible] ჩამოაგდეს გერმანელთა ჰაერო ძალ[illegible] პარიზზე თავდასხმის დროს, მარ[illegible] 11 და 12-ს.

გაზეთ „საქართველოს“ ხელის მოწერთა საყურადღებოდ:

ვისაც გაზეთი „საქართველო“ სამი თვითა აქვს გაწერილი, 1 [illegible]დან 1 აპრილამდე, ვთხოვთ ფულ[illegible] მოიტანონ აპრილის ხუთამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში კონტორა იძულებული იქნება ხუთ აპრილიდან გაზეთის გზავნა მოუსპოს.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ეროვნულ საბჭოს საფინანსო** სექციის სხდომაზე 23 მ. თვეს, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი დადგენილ იქმნა, რომ ველა დაწესებულებებში შემოღებულ იქმნას ყოველთვიური გადასახადი არ ნაკლებ ჯამაგირის ერთი პროცენტისა საქართველოს ეროვნული საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად. თელავის გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს თავ. კრებაზედ 8 მარტს ამა 1918 წ. დადგენია გადაიდოს 2 პროც. გიმნაზიის ყველა მასწავლებელთა და მოსამსახურეთა ჯამაგირიდან საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **ქართველ მხატვართა საღამო.** ქართველ მხატვართა საზოგადოება ხუთშაბათს, 5 აპრილს, მართავს ქართულ კლუბში სამხატვრულ საღამოს. საღამოსათვის აღებულია მთელი კლუბის შენობა, რომლის კედლები მორთული იქნება დეკორატიულად. [illegible] ოთახში მოეწყობა სურათების გამოფენა. კონცერტი გაიმართება არაყიშვილის და ყარაშვილის მონაწილეობით.

◆ **გიორგი სააკაძე.** კვირას, 8 აპრილს, ქართულ კლუბში წარმოდგენილი იქნება ქართველ მსახიობთა მიერ „დიდი მოურავი“ (გიორგი საკაძე) ისტორ. დრამა 5 მოქმედ. და 7 სურათად.

◆ **მოხალისეებად წასვლა.** ამ დღეებში მოხალისეებად ჩაეწერნენ და ფრონტზე გაემგზავრნენ გაზ. „ბა“-ს რედაქტორი დავ. გიორგაძე, შარაშიძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, საზავო კომისიის მდივნად ნამყოფი გ. ნანეიშვილი.

◆ **ქართულ [illegible] საზოგადოებამ** ბორჯომის ქონების მისაღებად შემდგარ კომისიაში გრიგოლ [illegible] აირჩია.

◆ **სომხურ სასწავლებლების დახურვა.** სომხურმა ეროვნულმა საბჭომ ბრძანება გასცა დაეხურათ [illegible] რულ იქმნას ყველა სომხური სკოლა, საშუალო და პირველდაწყებითი სასწავლებელი, ხოლო მასწავლებლები ფრონტზე გაიგზავნოს.

◆ **ქართველ მოხელეთა კრება.** კვირას, 1 აპრილს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბში დანიშნულია ამიერ-კავკასიის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ქართველ მოხელეთა შეერთებული კრება, რომელზედაც განხილული იქნება უკვე არჩეულ კომისიის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დღის წესრიგი: 1) დაწესებულებების ქართველ მოხელეთა კავშირის მოწყობა. 2) კავშირის წესდების განხილვა. 3) საბჭოს არჩევა. სასურველია ყველა დაწესებულების ქართველი მოხელენი დაესწრონ კრებას.

◆ **საკათალიკ.** სასახლის კარის ეკლესიაში წირვა ხვალ, კვირას, დაიწყება 10 საათზე.

◆ **სრულიად საქართველოს** კათალიკოს პატრიარქი კირიონ II უკვე კარგად შეიქნა.

◆ **ქართველ ახალგაზრდათა საყურადღებოდ.** ქართველ ცხენოსანთა დივიზიის შტაბის კავშირის კომანდისათვის საჭირონი არიან განათლება მიღებული ახალგაზრდები (აგრეთვე) ტელეფონისტები, მემანქ—ტელეგრაფისტები) შტაბი მოთავსებულია მიხეილის და ბელგიის ქუჩის კუთხეში. შესავალი ბელგიის ქუჩით. ჩასაწერად გამოცხადდებათ 11—1 ს.-მდის.

◆ **ცხინვალიდან გუშინ დაბრუნდა** რაზმი, რომელიც ოსთა აჯანყების ჩასაქრობად იყო გაგზავნილი. მთელ მათ მოძრაობას თავში ნაციონალური ნიადაგი ჰქონია, ხოლო შემდეგ მიუღია ხასიათი პოგრომული. რაზმის პირველ ჩასვლისას ოსები ძალიან მაგრად დახვდნიან, მაგრამ შემდეგ კი როცა რაზმს ძალა უჩვენებია, მათ თანხმობა გამოუცხადებიათ იარაღის ჩაბარებაზე და მეთაურების გაცემაზე. ჰაეროპლანებსაც [illegible] ხდენიათ საქმის დაზიანებაზე ჩვენს სასარგებლოდ. დაპყრობილ ოსთა შორის ბევრი ქართველებიც, მოშტებულ ნაწილად დეზერტირები რეულა. ჩვენ რაზმს მთების დაჭერის შემდეგ შემთხვევა ჰქონია ძირს შეფენილი სოფლების განადგურება, მაგრამ არც ერთი სოფელი არ დაუზარალებიათ. ბრძოლის დროს ჩვენ რაზმს დაჰკლებია 16—20 კაცამდე. ოსებს 200 სულზე მეტი. დატყვევებულ ოსთა და მათ ბელადთა რიცხვი სულ 200 კაცამდეა. რაზმს შემდეგ მისასალმებლად ქსენსების ასაცვლელად დაუტოვებიათ ნაწილი, რომელიც ხელმძღვანელობს საქმის საბოლოო ლიკვიდაციას.

◆ **საკათალიკოზო საბჭოს** კანცელარიის გამგედ მიიწვია დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, რომელიც საკათალიკოზო საბჭოს წევრადაც დარჩება.

◆ **ქ. შ. წ. კ. ს-ბ. გამგეობამ** მ[illegible] საზოგადოების სასარგებლოდ [illegible]ლი კავკასიის კორპუსის შ[illegible] ქუთათელაძისაგან ხსენ[illegible] [illegible]პუსის მიერ შემოწირული ფ[illegible] 20 მ. 17 კ., სხვა და სხვა პოლი[illegible] შინაარსის ბროშიურები რუ[illegible] ქართულ ენაზე: ქართული 255 ცალი, რუსული 143 ცალი, სამი თვით გამოსული ყოველდღიური გაზეთები: „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ალიონი“, „ჯარის—კაცი“, „ბრძოლა“, „თეატრი და ცხოვრება“, „შრომის მათრახი“, „ვოზროჟდენიე“, „ჩვენი რესპუბლიკა“, „რესპუბლიკა“, „ჩვენი ქვეყანა“, „სოც. დემოკრატი“, [illegible] „ჩვენი მეგობარი“. საზოგადოების გამგეობა შემომწირველთ უღრმეს მადლობას უცხადებს.

◆ **ქართული წარმოდგენა.** შაბათს 31 მარტს ქართ. მსახ. მიერ ეფ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „შედეგ“ 5 მოქ.

◆ დღეს 3 მარტს ყოფილ სამხედრო სასწავლებელში (მიხეილის პ. [illegible]) ქართულ [illegible] ბათალიონის სასარგებლოდ გამართება წარმოდგენა საღამოთი. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული დრამა „და-ძმა“, ხუთ მოქმედებად და ექვს სურათად ვალერიან გუნიასი. შემდეგ წარმოდგენისა გამართება საღამო, დაუკრავს სამხედრო მუსიკა. ფასები ყველასათვის [illegible] საშუალო. ბილეთები იყიდება დარბაზის შესავალში. დასაწყისი სრულ საღამოს 8 საათზე.

◆ **სროლა.** მარტის 29-ს დილის 6 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე ფაეტონით მიდიოდა 2 მაჰმადიანი, რომელთაც უცნობი შეიარაღებული პირი თავს დაესხა და სროლა აუტეხეს. მოკლეს მაშადი-ჰაშიმ-ოღლი და დასჭრეს ამამ-ოსმან-ოღლი.

◆ **მილიციელის მოკვლა.** მარტის 29-ს საღამოს 7 ს. ისრიულკაში, ჯანაშვილის სარდაფში რევოლვერით მოკლეს უმცროსი მილიციელი ევტიხი ჯაკობია. იაკ. ჯანაშვილი და ერთიც უცნობი პირი, რომელთაც მკვლელობა ბრალდებათ, მიიმალნენ.

◆ **ცეცხლი.** მარტის 30-ს ღამე, სურ-პკარაპეტისა და თევზულის 19 ქუჩების კუთხეში დანდუროვების სახლში გაჩნდა ცეცხლი.

◆ **დაპატიმრება.** მილიციის უფროსის განკარგულებით დაუპატიმრებია ორ-ორი თვით, მალულად ღვინის გაყიდვისთვის ივანე დავრიშევი, ივანე ჯ[illegible]ქიძე, წყალობა სარქისოვი, ივანე ხვედიანი, გევორქ ღარიბოვი და [illegible].

◆ **გადმოხვეწილები თბილისში.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ კომიტეტის თავჯდომარე მიდის თბილისის ქალაქის თავს, ატყობინებს, თბილისის სადგურზე თავი მოიყარეს ბუდეებულმა ლტოლვილებმა, რომელნიც ყოველ მხრიდან აწყდებიან თბილისს. რკინის გზის ადმინისტრაციის ცნობით ვაგონებით კიდევ მოდიან ქალაქისკენ ლტოლვილნი: 2 მატარებელი ბაქოდან და 1-ც ბათომიდან. ლტოლვილნი სადგურზე, ბაქანზე ლიანდაგებზე ბინავდებიან. ეპიდემია დიდ საფრთხეს უქადის სანიტარულ და სხვა მხრივ სადგურს, რომ სადგურზე საოფ[illegible] გაჩენილა.

◆ **თბ. სანიტრიარმეციო ბიურო** მდ მოთავსებულია სასახლის[illegible] ცენტრის პირდაპირ. შესავალი [illegible]ლიდან კარებიდან. ტელ. 7—23.

◆ **ამიერ-კავკასიის რკ[illegible]** მთავარ სარკინიგზო კომ[illegible] სურსათო კომიტეტმა თბილ[illegible] კინისგზო კომიტეტებს [illegible] აუცილებლად სახალხო კ[illegible]ნია, მათ უნდა შეადგინონ წევრებად [illegible] იარაღის გზის ყველა მოსამსახურეებ[illegible]

◆ **გაზეთ „საქართველო[illegible]**

რამ მიიღო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ შემოწირულებანი: ბ-ნ თომა თეიმურაზის ძე კალანდაძისაგან 100 მან., გიორგი ყარამანის ძე კალანდაძისაგან 100 მან., ზაქარიას გრიგოლის ძე კალანდაძისაგან—100 მან., მირიან ბესარიონის ძე თედორაძისაგან 100 მან. რისთვისაც დიდ მადლობას უცხადებს მათ კომიტეტი.

◆ **მაზანდა ბაზარზე.** ბაზარზე ბოლო დროს გულუხვად არის თეთრი პური. წითელი პური გირვანქა 1 მან. 60 კ. იყიდება. ბატი 35 მანეთად ფასობს, ქათამი 10—12 მან., დაკლული ინდაური 50—60 მ., დაკლული ქათამი 12—16 მ., ბურვაკის ხორცი 4 მ., დაკლული გოჭი 7—10 მანეთი, ვეჩინა ერთი გირვანქა ხუთი მანეთი,—8 მ., გამრავლდა აგრეთვე ყველი, ერბო, კარაქი და რძე. კარაქი გირვანქა 13 მ. იყიდება, ერბო 10—11 მ., თუშური ყველი ოთხი-ნახევარი ხუთი მანეთი, შვეიცარის 5 მან., სულგუნი 4-ნახევარი მ., კვერცხი ათეული 40—45 კ., ტყემალი 2 მ. 50 კ., მაწონი გირ. 2 მ. 50 კ., ხახვი კონა 50 კ., ტარხუნა 50 კ., წვრილი კარტოფი 2—3 მ.

ქუთაისში

◆ **გუბ. კომისარმა** კერესელიძემ გამოსცა მოწოდება, რომელითაც ლეჩხუმის მაზრას მოხსნა „კანონს გარეშე" ყოფნა.

◆ **წალენჯიხის** რაიონში ბოლშევიკების აგიტაციის წყალობით მობილიზაცია ცხოვრებაში არ გატარდა. ამის გამო გუბერნიის კომისარმა გაგზავნა წალენჯიხაში ასი კაცისაგან შემდგარი რაზმი. რაზმელებმა იქ ბოლშევიკების ყველა მეთაური დააპატიმრეს. სულ დაპატიმრებულია 12 კაცი. გუბ. კომისარმა განკარგულება გასცა, რომ ხსენებული პირები ქუთაისში იქნან ჩამოყვანილი. ამჟამად წალენჯიხის რაიონში მობილიზაცია კარგად მიდის. ახალგაზდები ხალისით ეწერებიან.

◆ **სიმინდის გაგზავნა.** სარეკვიზიციო საქმის მომწყობ ლომიას, გუბერნიის კომისარმა წინადადება მისცა, [illegible] პირველ რიგში სიმინდი [illegible]ენოს გურიაში, ლეჩხუმში და [illegible]. ლომიამ ლეჩხუმს უკვე გაუგზავნა 300 ფუთი სიმინდი. რაჭას და [illegible] გაეგზავნა თითო ვაგონი სიმინდი.

დუშეთი

◆ **წითელ გვარდიელების შედგენა.** დუშეთის მაზრის კომისარმა ირემაშვილმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე გადადებულ იქმნეს 50 ათასი მანეთი მაზრაში წითელ გვარდიის შესადგენად. სამინისტრომ სწრაფი ზომები მიიღო შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად.

ს. კონდოლი.

◆ **გლეხების თვითნებობა.** გზათა მიმოსვლის სამინისტრომ მარტის 29 კახეთის რკინის გზის გამგის მოადგილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: ს. კონდოლის მცხოვრებთა ძალადობის გამო მარტის დასაწყისში კახეთის რკინის გზაზე შესწყდა წყლის შესაკავებელი კედლის შენება მე-136 ვერსტზე ხიდთან პარუნის ხევზე. ეხლა მოსალოდნელია წყალდიდობა და ამიტომ რკინის გზის მმართველობა შეუდგა ხიდის გამაგრებას ქვებით და შპალებით მოსალოდნელ [illegible] თავიდან ასაცილებლად. კონდოლელებმა ამ დღეებში გაჰფანტეს მუშები და არ მოგვცეს მუშაობის საშუალება. გთხოვთ მიიღოთ ენერგიული ზომები კონდოლელების წინააღმდეგ. ხიდის გაფუჭება რამდენიმე ათასი მანეთის ზარალს მოუტანს კახეთის რკინის გზას და მიმოსვლას 2 თვით შესწყვეტს და შესაძლებელია მატარებელიც დაიმსხვრას სრულიად მოულოდნელად. რკინის გზის გამგებლების თხოვნა-მუდარამ და რჩევამ კონდოლელებზე ვერ გასჭრა.

პარტიული ცხოვრება

◆ **საზოგადო კრება.** თბილისში მცხოვრებ ერ.-დემოკრატიის პარტიის წევრებისა გაიმართა შაბათს, მარტის 27-ს, სამეურნეო ბანკის დარბაზში, გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

კრებამ იქონია მსჯელობა საორგანიზაციო საკითხებზე და დაადგინა რამდენიმე ძირითადი წესი, რომლებიც დაუყოვნებლივ დაეგზავნება სახელმძღვანელოდ საუბნო-კომიტეტებს.

კრებაზე სხვათა შორის, გამოითქვა სურვილი თბილისის საგუბ. კომიტეტის დაარსების შესახებ.

დასასრულ არჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია. კომისიის წევრებად არჩეულ არიან: მ. იზნელი, ზაქაძე და პაპაშვილი. კანდიდატებად გ. შალიბაშვილი და დ. ვაჩნაძე.

◆ **თბილისის ცენტრალური კომიტეტმა** დაარსა სალიტერატურო და საპროპაგანდო სექცია. სექციის თავმჯდომარედ არჩეულია [illegible], წევრებად დ. დუმბაძე, გ. შავშვილი, ზ. ჩიხლაძე და მწერალიანი.

◆ **მესამე და მეოთხე უბ. კომიტეტის** წევრებად არჩეულ არიან: გ. შალიბაშვილი, დ. ვაჩნაძე, იოს. კურცხალია, ილ. პყონია და ბ. ყურდანაშვილი.

◆ **საუბნო კომიტეტის კრება** დანიშნულია სამშაბათს, აპრილის 3-ს (ძველის სტილით) საღამოს [illegible] 6 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. კრებაზე უნდა გამოცხადნენ ყველა საუბნო კომიტეტები მის შემადგენლობით, ხოლო კრებამდე კომიტეტებმა უნდა წარუდგინონ ცენტრალ კომიტეტის ბიუროს [illegible] თავისის მოქმედების შესახებ ყოველ დღე, 1—3 საათამდე).

კომიტეტის წევრი, ვინც [illegible] გამოცხადდება ხსენებულ კრებაზე უსწრებლობის საპატიო მიზეზის მოუდგენლად, კომიტეტიდან სულად ჩაითვლება, ხოლო ორგანიზაცია, რომელიც დანიშნულ დრომდე ხსენებას არ წარმოადგენს და კრებაზე თავის წარმომადგენელს არ გზავნის, დაიხურება და დანიშნული არჩევნები ან თბილისის ცენტრალი კომიტეტი თვითონ შეადგენს ახალ საუბნო კომიტეტს.

ამიერ-კავკასიის მთავრობაში

ოფიციალად.

თბილისის ბევრი გაზეთი მარტის 30-ს „მთავრობის ცნობის" თაურით დასტამბული იყო ცნობა საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ.

მთავრობა საჭიროდ [illegible] განმარტოს, რომ ხსენებული ცნობა ჯერ ერთი სრულებით არ არის მთავრობის ცნობა, არამედ გაზეთების გამოგონებული [illegible] მისთვის ეს [illegible] და ამას გარდა მისი შინაარსი სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ერთ-ერთ სადგურზე მომხდარი თათბირი, რომლის შესახებაც ცნობა ხსენებულ ცნობაშია, სრულიად კერძო ხასიათის იყო და ამ თათბირზე ამიტომ არავითარი დადგენილება მთავრობის სახელით არა ყოფილა გამოტანილი. შემდეგ „ცნობის" უკანასკნელ ამბების შესახებ მთავრობა კატეგორიულად აცხადებს, რომ იმის აღნიშვნა, რომ საზავო მოლაპარაკების წყვეტის საფრთხე არ არისო, სრულებით მეტია, რადგანაც არაფერი მსგავსი საკითხი უკანასკნელ დროს ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების დროს არც კი აღძრულა".

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

მთავრობის ცნობა

მარტის 28 ამიერკავკასიის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვან შიფრიან დეპეშებისა. რადგან თბილისში ამ დროს არ იმყოფებიან გ. პ. გეგეჭკორი, ნ. ს. ჟორდანია, გ. წერეთელი და ნ. ს. [illegible]ძე, დეპეშები გვიან ღამით აცნობეს მათ ამიერკავკასიის რკინის გზის ერთ-ერთ სადგურზე. ღამის [illegible] საათზე ამ სადგურზე შეიკრიბნენ გ. პ. გეგეჭკორი, ი. გ. წერეთელი, ნ. ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი. მოხდა საგანგებო თათბირი, რომელმაც მიიღო მთელი რიგი უმთავრესი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა, რაც დაუყოვნებლივ ატყობინეს ტრაპიზონში.

მარტის 29 დილით მთავრობის თავმჯდომარის სახელობაზე ჩხენკელისაგან მოვიდა კიდევ ერთი შიფრიანი დეპეშა, უაღრესად მნიშვნელოვანი, ნაბიჯის [illegible], რომელიც გადაწყვიტეს 28-ს საღამოს 9 საათზე. ამ გადაწყვეტილების შინაარსი სულ უახლოეს ხანში გამოცხადდება. ეხლა კი შეიძლება გამოცხადდეს რომ ეს ნაბიჯი ნიშნავს საზავო მოლაპარაკების წყვეტას.

შავი ზღვა

ჭავჭავაძისა

ბათომიდან შავი ზღვის ძალების უფროსი ჭავჭავაძე ომის მინისტრს გ. გობეჩიას 27 მარტს ატყობინებს, „დღეს, 9 აპრილს (ა.) „კოროლ კაროლმა" ნავთის [illegible] დროს, რომელიც ნავთის [illegible] ვაგონზე იდგა, [illegible] ზღვასთან ერთად სრულად აფეთქდა „[illegible] მადლობს.

დატვირთული „დობროვოლსკი" საზღვრად გაემართა ლიმანსა და მარიუპოლით. მათ [illegible]

ქართველთ სპასალარს

დაფლეთილ ქლერაში აენთება ვნება ბნელი—
აწევენ დროშას. ბუკ-საყვირის გაისმის ხმები.—
უტევ ბრძოლაში ცეცხლის რკალად მტერს მიუდგები,
სისხლის წინწკლები შეგიღებავს სახეს ალმურით.
როცა იშიშვლებ ელვარე ხმალს ვერცხლის ქარქაშით
სიკვდილის ელდით აგაქროლებს ფოლადის ნება,—
რაზმს შეუყვილებ. გაიქრები ცეცხლის მფრქვევ რაშით,
შურისძიება მჭრელ მახვილად გულს დაადნება.
ჯავშანთ ჩქაფანი ხმლების ნადიმს აელვარებს...
მთვარე ჩაჰქრება მწვანედ აშლილ, [illegible] მთებში;
გმირთა ლანდები გულს ჩაიკრავს სისხლ შემხმარ ფარებს
და ალის ფრთებით დაიწვება მზის სატევრებში!

გ. გორგაძე.

ბრბოს, რომელიც ამოფარებოდა შენობებს და ცეცხლში ახვევდა გემს. სროლა ნაყოფიერად დამთავრდა.

ფლოტის უფროსი ჭავჭავაძე.

ანარქია ამიერკავკასიაში

ზაქათალა. ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე ბახტიარინის ქალი სეიმს დეპეშით ატყობინებს, რომ იქ სომხები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. მაჰმადიანების მხრივ მათ სიცოცხლეს და ქონებას ყოველდღე მოელის საფრთხე. გთხოვთ დახმარება აღმოუჩინოთ ზაქათალიდან გახიზვნაში. სომხებს ზაქათალიდან არ უშვებენ.

ახალციხე. ამალბანიანი სომხთა ეროვნულ საბჭოს დეპეშით ატყობინებს, რომ არდაგანიდან გამოქცეულ ქართველ ჯარისკაცების სიტყვით იქ სომხები სულ ამოუწყვეტნიათ. არ შეუბრალებიათ დაუხოცნიათ [illegible] ქალები და ბავშვები. არდაგანის ქუჩები სავსეა მკვდრებით. ულეტა მარტის 15 მოხდარა.

ყარსი. მარტის 29. საევაკუაციო კომისიის მთავრობას ტელეგრაფით ატყობინებს: რადგანაც ყარსს აუარებელი ლტოლვილი მოაწყდა და საჭიროა ციხის დიდძალ ძვირფას ქონების გაზიდვა, უნდა გამოგზავნოთ ვაგონები, თუ ვაგონები არ გამოგზავნეთ კომისია იძულებული იქნება ქონება სრულიად მოსპოს.

გემი „წმ. ნიკოლოზი".

თბილისი. რადიო. მარტის 27. სევასტოპოლი. „შავითა საბჭოს" დღეს, 17-ს. ტუაპსედან გავიდა გემი „წმ. ნიკოლოზი", რომელზედაც დიდძალი ლტოლვილნი არიან. ფოთში აუარებელი ლტოლვილნი არიან, რომლებიც ტრანსპორტებს ელიან. მოვიდა გემი „რუსლან". ფოთში სიწყნარეა.

მატარებლის დამსხვრევა

შგალა. მარტის 28. მოძრაობის აგენტი მარცენკო. მატარებელი № 634 ლტოლვილებით მე-120 ვერსტზე ძალიან დაიმსხვრა. ბევრია მოკლული. ამ ადგილზე ფეხით მოვდივარ. მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ ყველაფერს შეგატყობინებთ.

რკინის გზის უფროსის ცნობა. მარტის 27 დღევანდელ [illegible] პირობებისა და ერევნის და ჯულფის ლიანდაგების მოქმედების გასაერთიანებლად, გზათა მიმოსვლის განკარგულების აღსასრულებლად ინჟინერ მარკოვს წინადადებას ვაძლევ სწრაფი ზომები მიიღოს მოძრაობის აღსადგენად ჯულფის ლიანდაგზე. ესევე ევალება ლიანდაგის სხვა აგენტებს.

ბათუმი. მარტის 27. ჯავშნიან მატარებლის უფროსი ესვანჯია ატყობინებს. დღეს დილის 5 საათზე ბოროტმოქმედებმა ბათუმსა და ჩაქვს შუა ბათუმის გვირაბის ახლო ააფეთქეს გზა, რომელიც უკვე შეაკეთეს. [illegible] მოძრაობა არ შეწყვეტილა.

ბოლშევიკები სოხუმში

მარტის პირველ რიცხვებში გაგრა ბოლშევიკებმა დაიჭირეს. ამ დროს სოხუმში შესდგა საველე შტაბი, რომელიც შეუდგა ძალთა დაგროვებას გაგრიდან ბოლშევიკების გასარეკად. მაშინ ბოლშევიკური რაზმი 2 ზარბაზნით და ტყვიისმფრქვევლებით გუდაუთიდან ახალ ათონისკენ გაემგზავრა. [illegible] იგი და თხრილებში მოეწყო. ბოლშევიკების წინააღმდეგ გალაშქრებულ რაზმში შედიოდნენ უმთავრესად აფხაზნი და წითელ გვარდიელები. აფხაზები ერიდნენ ბოლშევიკურ რაზმშიც, ამიტომ არავის ჰქონდა იმედი, რომ აფხაზი აფხაზელსვე შეებრძოლებოდა.

გაგზავნეს დელეგაცია. ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ ყველა უბნებს, კოდორის უბნის გარდა, ჰსურთ იცნონ სახალხო კომისრების მთავრობა. მარტის 28-ს კოდორის უბანში გლეხთა ყრილობა გაიმართება და იქ დაარწმუნებთ გლეხებს, რომ სახალხო კომისართა მთავრობა იცნონ. მარტის 28-დის სოხუმზე არ წამოვალთ. ამისდამიუხედავად, სოხუმის სამხრეთით მცხოვრებ მეგრელებს ბოლშევიკების აგენტები შეუჩნდნენ და აგულიანებდენ, რომ მათთვის მხარი დაეჭირათ.

სოხუმელებმა ყოველივე ზომები მიიღეს ბოლშევიკების წინააღმდეგ. მათ გამოიყვანეს 200 შეიარაღებული კაცი, 2 ბატარეი და ტყვიისმფრქვევლები 8 ლენტით ორ ფრონტის დასაცავად. სოხუმელებმა ეს უმნიშვნელო ძალა ორ ნაწილად დაჰყვეს.

მარტის 25 ს ღამის 11 საათზე მეგრელებმა სომხების დახმარებით იერიში დაიწყეს სოხუმზე. დილის 4 საათამდე სოხუმელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მეორე დღეს დილით ბოლშევიკებმა შესძლეს ქალაქში შემოსვლა და ტელეგრაფის, ფოსტის და სხვა სამთავრობო დაწესებულებათა დაჭერა. ქალაქს 2 მილიონი მანეთის კონტრიბუცია დაადეს. სენაკში ბოლშევიკებმა გაგზავნეს დეპეშა: სოხუმი აღებით და განზრახვა გვაქვს ფოთზე გამოვილაშქროთ. ბოლშევიკებს [illegible] იარაღი და ფული. ბოლშევიკი [illegible]კაცი დღე და ღამეში ორ თუმანს ღებულობს.

აბასთუმნის საფრთხე

აბასთუმანი გარემოცულია. სრული სამი კვირაა, რაც ადგილობრივ მაჰმადიანებმა შეკრა აბასთუმნის გზები. შიგ დაბაში დიდი ძარცვა-გლეჯაა გახშირებული. ძარცვავენ დღისით აშკარად, უშიშრად. ადგილობრივი ექიმები ოჯახობით შეიკრიბნენ ერთს სადგომში, რომელიც მათ ნაკლებ საშიშრად მიაჩნიათ. იქაურ სასახლეშიც ყოველ ღამე სროლაა. ამას წინად სომხებმა წამოიყვანეს თათრების ხახირი და ამან მეტად გააბოროტა თათრობა. საქმე რთულდება. ავადმყოფთა მდგომარეობა საბჭოთა სანატორიაში აუწერელია. თათრებში გამართულ მიტინგებმა საქმე ვერ გამოარკვიეს. მათ განაცხადეს: როდესაც ოსმალეთთან ჩამოვარდება ზავი, მაშინ გაგანებებთ თავსაო". ამას წინად კინაღამ არ დახოცეს ექიმი მანუელოვი და პრინცი ყაჯარი, რომელნიც ავადმყოფებს აცილებდნენ. აბასთუმანში ახლა დიდი მღელვარებაა. მცხოვრებლებს ჰსურთ გაიქცნენ, მაგრამ ვერ ახერხებენ.

* * *

წამებული მგზავრობა

საგაზეთო წერილის დაწერა ერთი მაშინ არის ძნელი, როდესაც ცხოვრება ერთფეროვნად მიმდინარეობს, თითქოს არაფერი საყურადღებო ხდება და მეორეც მაშინ, როდესაც ცხოვრება მრავალფეროვანია: ერთ მოვლენას მეორე მოვლენა მისდევს, ერთს ყურადღებას აბნევს მეორე უფრო ყურადსაღები, ამბავი სცვლის და მრავალ შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფები.

მრავალი წლის გარდაქმნის, ნგრევა-შენების პროცესის ხანამ ადამიანს ნერვები დაუჭიმა. თუ რუსეთში ვინმეზე მოქმედებდა რევოლიუციის გამარჯვება-დამარცხება, ეს უპირველეს ყოვლისა სამხრეთის ტემპერამენტიან ქართველზე, რომელსაც თავისი ტურფა სამშობლო ხან მთლად განთავისუფლებული ეგონა და ხან იმედ-დაკარგული ჰფიქრობდა: ნუ თუ საქართველო მოკვდება იმაზე უარესად, როგორც იყო 117 წლის განმავლობაში და კვლავ ვეღარ იცოცხლებს? ჰფიქრობდა ამას იმიტომ, რომ როდესაც რუსეთის თვითმპყრობელი და ბიუროკრატია დაიმსხვრა, რომლებიც ეგონათ საქართველოს და სხვა განაპირა ქვეყნების, ეგრედ-წოდებულ „ინოროდცების" მტრები, ინტელიგენცია და მასსა რუსეთის, ან უკედ რომ ვსთქვათ, ველიკოროსიის ეგონათ მოყვარე რუსეთში ყველა მოსახლე ერების და სინამდვილეში კი სულ სხვა ჩვენება. (რუსეთის) ველიკოროსიის საუკეთესო ინტელიგენცია ლვოვ-მილიუკოვ-კერენსკი-ლენინები რომ მოექცნენ რუსეთის მთავრობაში, ზომიერ თავად ლვოვთან დაწყებული უკიდურეს მემარცხენე ლენინით გათავებული არამც თუ არაფერს იმეტებენ განაპირა ერებისთვის, პირიქით, იგინი სხვა და სხვანაირად ემუქრებოდნენ, ვინც მოინდომებდა მთლიანი რუსეთის დარღვევას, თუმცა დეკლარაცია დეკრეტებში და ყოველ ჯვარედინ გზაზე ერთი თვითგამორკვევაზე თვალთმაქცობდნენ.

სხვა და სხვა მიმართულების ლენინი და მილიუკოვი ერთ რამეში მაინც ერთი მიზნით მუშაობდნენ, ეს ერთი რამე იყო „Собираніе Руси".

კადეტების (ორგანო) პარტიული გაზეთები ერთ დროს თუ სწერდნენ, რომ დამოუკიდებელი რუსეთი, განაპირა ქვეყნების [illegible] უნდა გადაარჩინოსო. შემდეგ როდესაც „ბოლშევიკები" გაძლიერდნენ რუსეთში და სამოქალაქო ომში იმარჯვებდნენ, მილიუკოვის ორგანო „რეჩი" გახარებული სწერდა წერილს შესახებ „Собираніе Руси" და ამტკიცებდა, რომ დიდი ველიკოროსია არ მოსწყდება, ისევ მან უნდა გადაარჩინოს თავისი თავიც და შემოიერთოს რუსეთში დროებით აღმოცენებული მრავალი რესპუბლიკები.

გუჩკოვ-მილიუკოვები რომ დღესაც მთლიან რუსეთის შექმნაზე ოცნებობენ მარტო მათი ველიკორუსული იმპერიალისტური ზრახვებია. ამის საილუსტრაციოდ მინდა მოკლედ მოვიყვანო ჩვენი ტანჯული და წამებული მგზავრობა მოსკოვიდან თბილისამდე, ვამბობ მოკლედ—მეთქი, რადგან ჩვენზე უწინ ჩამოსულებმა უკვე დასწერეს სხვა გაზეთებში და თუ მე კიდევ ვსწერ ამის შესახებ, ვფიქრობ, ეს ინტერეს მოკლებული არ იქნება იმათთვის, ვინც მარტო ჩვენს გაზეთს კითხულობს, ან შემთხვევით ვერ ნახა ის წერილები, სადაც ამ მოგზაურობის შესახებ ეწერა.

ბოლო ხანებში, როდესაც კავკასია საზოგადოდ და კერძოდ ჩვენი საქართველო რუსეთს მოსწყდა, ჩვენმა კომიტეტმა, რომელიც მოსკოვში იყო უკანასკნელ ხანებში, თითქმის არარა იცოდა რა, თუ რა ჰხდებოდა ჩვენს სამშობლოში. ვგულისხმობდით კი, რომ მომუშავე ხალხი, ფიზიკური, გონებრივი თუ ქონებრივი ძალა ეჭირვებოდა სრულიად საქართველოს და, აი, ჩვენც ამ გზისაკენ ვემზადებოდით. ვგონებდით, რაც შეიძლებოდა მალე და ბლომად გადმოეყვანა სამშობლოსკენ რუსეთში ნებით თუ უნებურად მომწყვდეული ქართველი ხალხი.

როგორც იყო მოვაწყვეთ საქმე მოსკოვის ცენტრალურ საევაკუაციო პუნქტთან ჩვენ და სომხეთის სამხედრო შტაბმა და გადავწყვიტეთ, როგორც კი მოგროვდებოდა სანიტარულ მატარებლისთვის საკმაო რიცხვი, გამოგვესტუმრებინა შინისკენ, ჯერ პირველ რიგში ჯარში ჩასადგომნი და შემდეგ მოხუცნი, ქალნი თუ ბავშვნი. ვარაუდით ორ კვირაში თითო მატარებელს გამოვისტუმრებდით.

ორი მატარებელი გამოვისტუმრეთ, მესამე მატარებელზე ჩვენ, სამხედრო კომიტეტის წევრებიც გამოვყევით რაკი რუსეთის დიდ ქალაქებში კომისარიატი გამოვყავით ჩვენი წრიდან და ისინი შეასრულებდნენ შემდეგში, რაც საჭირო შეიქნებოდა ჩვენი თანამემამულეთათვის.

მოსკოვის ადგილობრივი მთავრობა თუ მთელი რუსეთის მთავრობა, რომელიც ჩვენი წამოსვლის წინა დღეს გადმოიბარგა პეტროგრადიდან, ცოტა არ იყოს, ძალ დამფრთხალები იყვნენ ვილჰელმის ძლევა მოსილი მახვილით და ამიტომ წინააღმდეგობას არ გვიწევდნენ, ნებას გვაძლევდნენ წამოვსულიყავით აქეთკენ, მით უმეტეს რომ მეტი მჭამელი მოაკლდებოდათ და ეგებ ის პურის მგზავსი ტალახი, რომელშიაც პურის ფქვილის მეტი ყველაფერი იყო შიგ: ბზე, თივა, ქატო, ქერი და სხვა, გირვანქის მეოთხედი მაინც მიეწოდებინათ ხალხისთვის თორემ, თუნდაც ეს ბზე პური, მერვედი გირვანქა, ვის მუცელს მოატყუებდა?

მოსკოვიდან როსტოვამდე არა უშავდა რა ჩვენს მგზავრობას. როსტოვში კი გაგვჩხრიკეს, მაგრამ ზრდილობიანად გაგვჩხრიკეს. როსტოვში ჩვენი მატარებელი დღენახევარს შეაჩერეს. როსტოვშივე იდგა ხარკოვიდან წამოსული სომხების ეშელონი. რაკი ჩვენი მატარებლით სომხები უფრო მეტი მოდიოდნენ, სომხებმა მოინდომეს ორივე მატარებელი ერთად წამოსულიყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა. როსტოვში რომ გაგვჩხრიკეს, გაგვაფრთხილეს, ტიხარეცკაიაში „გენერალური" ჩხრეკა იქნებაო.

მართლაც, ტიხარეცკაიაში დიდხანს გრძელდებოდა ჩხრეკა, თუმცა კომიტეტის წევრებს, რომლებიც ცალკე ვაგონით მოვდიოდით, შედარებით, პატივით გვეპყრობოდნენ და არა გვჩხრეკავდნენ. ბევრს იარაღი უპოვეს და წაართვეს, ზოგიც ვითომდა კონტრ-რევოლუციონერი აღმოაჩინეს და წაიყვანეს იქ, საიდანაც ცოცხალი აღარ მოვიდოდა. მატარებელს ბრბო ეხვეოდა გარს. ბრბოს უნდოდა თავის მხრითაც გაეჩხრიკა ყველა მგზავრი. [illegible] როგორც იყო, სადგურ კავ[illegible] ვეღირსეთ. აქ კი დაიწყო ჩვენი ნამდვილი ტანჯვა-წამება. გააჩერეს ჩვენი მატარებელი და ვინ გინდათ, რომ არა ჩხრეკავდეს? არტილერისტები ცალკე, ქვეითი ჯარისა ცალკე, კავალერია და სხვები. აქ აღარც კომიტეტის წევრები დაგვინდეს, გაგვჩხრიკეს და რაც „ცუდად იდო", თან წაიღეს. ნება დართული იარაღიც წაგვართვეს. (სალდათებში ბევრი ველიკოროსი, ვითომდა ბოლშევიკი, ოფიცერია და ისიც წყალს ამღვრევდა).

მარტო გამხეცებული რუსის სალდათები კი არა გვჩხრეკდნენ, ბრბოც ითხოვდა მათთვისაც ეჩვენებინათ თუ რა მოჰქონდათ მგზავრებს. ამაოდ ველაპარაკებოდი, თუ თქვენმა ამორჩეულმა ხალხმა, თქვენმა კომისრებმა, რომლებსაც თქვენ უნდა ცნობდეთ, გაგვჩხრიკეს რამდენჯერმე და აბა ეგრე რამდენიც სხვა და სხვა ახალ-ახალი ოცი ოცდაათი კაცისგან შემდგარი ჯგუფი რომ შეუდგეთ ჩხრეკას, როდემდის უნდა იდგეს მატარებელი? „უნდა გავსინჯოთ, უნდა გავსინჯოთ, ეს არის ჩვენი სურვილი, ეს არის ჩვენი ხალხის ნება",—ჰყვიროდა ბრბო. გზაში გარდაცვალებულ მოხუც წერეთელს მოვასვენებდით. მეორე ვაგონში მხედარ ამირეჯიბს ცხენი მოჰყავდა. ბრბო ამბობს:—გავტეხოთ კუბო, ვნახოთ, რა მიაქვთო, გასტეხეს, მიცვალებულს ტანთ გაძარცვეს და საცმელი დაიტაცეს. ბრბო ბობოქრობს ეს გენერალია და ცხენი, ალბად, ამისია, ადიუტანტებიც, ალბად, გაიქცნენ...

მატარებელი დაიძრა კავკასკაიადან. ასტყდა ამ დროს სროლა. მატარებელი გაჩერდა. გამოირკვა, რომ გამხეცებულ ბრბოს, სალდათებს თუ არა სალდათებს, ქალებს თუ კაცებს, უნდათ ერთი ვაგონის გასინჯვა კიდევ.

შარი მოგვდო ბრბომ და დაგვაბრალა, ვითომ ერთი ვაგონიდან მგზავრს მათთვის რევოლვერი ესროლათ მინდორში გაჩერებულ მატარებლიდან სათითაოდ გადმოჰყვეთ ხალხი. თვითეულს დოკუმენტს უსინჯავენ, ყოველ მათგანს დასცინიან. შეგროვილ მგზავრებს რკალივით შემოგვარტყეს ხიშტიანი სალდათები. მაყურებლად რუსის ქალ-კაცებიც არიან. „დავხვრიტოთ, რაღას ვუცქერით ამ კონტრ-რევოლიუციონერებს, ესენი ხომ გეგეჭკორი-ჩხეიძეებთან მიდიან და იქიდან ომს გამოგვიცხადებენო". დათიკო წერეთლის 3 წლის ბავშვი, რომელიც ჩვენთან ერთად იდგა ალყა შემორტყმული, დედას ეკითხება: „დედა, ახლა დაგვხვრეტავენ ბოლშევიკები?" ცრემლ მორეული დედა, რომელსაც ხელში ძუძუმწოვარა ბავშვი ეჭირა, რას ეტყოდა თავის პირმშოს?!

დაღამდება. ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, მაგრამ შეღამებით თითქოს სიკვდილი უფრო გვიახლოვდება და თვითეულ ჩვენგანს თვალწინ გვეტუზება მისი აჩრდილი. კომისარი მიმართავს ჯარის კაცებს და ბრბოს: მინდა ერთი წინადადება შემოგიტანოთ: ეს ყველა კონტრ-რევოლიუციონერები ერთ ვაგონში შევყაროთ და წავიყვანოთ იქ, სადაც ამათი გასამართლება შეიძლებაო". ტყუილად ჰფიქრობს ვახტანგ კოტეტიშვილი სიტყვით მიმართოს და დაუმტკიცოს ჩვენი რევოლიუციონერობა; ბრბოს არაფრის მოსმენა არ უნდა ჩვენგან.

ერთ ვაგონში მოგვათავსეს და ჩვენი მატარებელი სადგურისაკენ დაიძრა.

ჯუღელისგან მოსულიყო დეპეშა (სახალხო კომისარებს ჩვენმა (კომიტეტის) გაგზავნილმა კაცმა აცნობა ჩვენი გასაჭირი) ქართველების მატარებელი დაუყოვნებლივ გაუშვითო. მთავრობის წარმომადგენლებს ბრბო რას უგდებს ყურს, მაგრამ მაინც შედარებით შეება მოგვცეს და ხალხი თავიანთ ვაგონებში გადაიყვანეს.

დათიკო წერეთელი როგორც კომიტეტის წევრი კომიტეტის ვაგონში დაბინავდა თავის ცოლშვილით. მისი მეუღლე ბავშვებით აღარ წავიდა თავის ვაგონში რაკი შეშინებული იყო.

მ. იზნელი.

(შემდეგი იქნება)

* * *

ცხინვალის ამბები

„სახალხო საქმეში" ცხინვალის ამბების შესახებ მოგვახსენებენ:

მარტის 24. მშვენიერი დღეა.

სახლები და დუქნები მთლად გა-

...ა. რაც არ არის წაღებული, ყველაფერი დამტვრეულია.

გადამწვარია ოთხი სახლი. მათ შო[illegible]ასთან გრიშვის, ვანო ორჯონიკიძის და პეტრუევინიცლის, ანსა (ფენახებში), სადაც ტყვის მფრქვეველი მდგარა.

ცხინვალის გარშემო მდებარე ვენახები თითქმის სულ გადამწვარია.

ადგილობრივი მცხოვრებნი თითქმის სულ გახიზნულნი არიან სხვა და სხვა ადგილას. თუ ზოგიერთნი სჩანან, ისინიც ახლა დაბრუნებულან, ცხინვალიდან ოსების განდევნის შემდეგ. ყველანი იმას სჩივიან, რომ სახლში აღარაფერი დატოვებიათ: არც ავეჯი, არც ნივთი, არც ქვაბი, არც ლოგინი და არაფერი ის, რაიც ხანგრძლივ და მძიმე შრომის წყალობით ჰქონდათ შეძენილი.

ცხინვალის მშვიდობიან მცხოვრებთაგან გაშმაგებულ ბრბოს მხოლოდ ერთი მოუკლავს: ღრმად მოხუცებული და ქართლში საკმაოდ ცნობილი კაცი მაქრო მაჩაბელი, ბიძა გიორგი მაჩაბლისა. ამის მოკვლის მიზეზი, როგორც გადმოგვცეს, ის ყოფილა, რომ ცოცხალი ვერ მოაშორეს ვერაგულად მოკლულს თავის ძმისწულს გიორგი მაჩაბელს.

აქვე შემხვდნენ პორფილე ეფრემიძე და გიორგი გაგლოევი, რომელნიც ორი დღის წინად განთავისუფლებინათ ტყვეობიდან კირილე ნინიძესთან ერთად.

ცხინვალის აოხრება ასე მომხდარა.

16 მარტს დილით ცხინვალს მოსულა ოსთა დელეგაცია, პაკეთით.

დელეგატებს მოუთხოვნიათ პასუხი, პაკეთი გაუხსნიათ ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს: რაჟდენ გაგუას და პორფილე ეფრემიძეს.

ამოუკითხავთ ასეთი მოთხოვნილებანი: 1) დაუყოვნებლივ დაგვიყავით მიწები, 2) გორის მაზრიდან გაძევებით რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მომუშავე შემდეგი პირნი: კოსტა კაზაშვილი, სოსიკო გოგინოვი, მაქრო კასრაძე და ილია მაისურაძე, 2) გორის მაზრიდან გაძევებით ყველა თავადი და აზნაური და 4) მიეცეთ სიტყვის და კრების თავისუფლება.

პასუხისთვის უკანასკნელი ვადა მიუციათ მარტის 16 ნაშუადღევის სამი საათი.

ცხინვალის მუშათა და გლეხთა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი საგონებელში ჩავარდნილა: მოთხოვნილებათა შესრულება მათ განხილვის საგანს არ შეადგენდა. გაიმართა საბჭოსა და კომიტეტის საერთო შეერთებული კრება.

საბჭოს და კომიტეტის კრებას ჯერ არაფერი გადაუწყვეტია. მთებიდან სროლა აუტეხნიათ.

[illegible] კეცხოველის მეთაურობით დელეგაცია გამგზავრებულა ოსებთან. დელეგაციაში არიან: რაჟდენ გაგუა, პორფილე ეფრემიძე, გრიშა იაქროპირიძე, ალექსი ჩიხელი და ვასო იარალოვი. მათთან ერთად წავიდა ოსთაგან გამოგზავნილ დელეგაციის წევრი ჩიჩიევი.

დეგრისის მოედანზე ოსები მაღლიდან სროლით შეხვდნენ დელეგაციას, მიუხედავად იმისა, რომ მათ თეთრი ბაირაღები ჰქონდათ გამოფენილი. დელეგატები თხრილში ჩამალულან. ჩიჩიევს მაინც მოუხერხებია ოსებთან ახვლა და მათი გაჩერება. მათთან მისულან აგრეთვე სანდრო კეცხოველი და ვასო იარალოვი. სანდრო დაპირებია რაც შესაძლებელია, ყველაფერს აგისრულებთო. სანდრო უცვნია ვიღაც გამოქცეულ ჯარის კაცს, და სანდროსთვის ლანძღვა დაუწყვია: შენ არ იყავი, რომ ქართულ პოლკს იარაღი აჰყარე და ჩვენს ოფიცრებს შეურაცხყოფა მიაყენეო. სანდრო სიკვდილისაგან უხსნია ოს ჩიჩიევს.

მეორე დღეს, მარტის 17-ს ცხინვალში ჩასულა გორის წითელი რაზმი მაზრის კომისარ გიორგი მაჩაბლის მეთაურობით. გამართულა მოლაპარაკება, ოსებს ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ჰპირდებიან გარდა თავად-აზნაურობის გაძევებისა. ოსები თანხმდებიან, რომ დაპირება დადასტურებულ იქმნას საჯაროდ, მიტინგზე, რომელსაც ნიშნავენ 18 მარტისთვის.

გაუმართავთ მიტინგი დეგრისის მოედანზე, რომელიც ცხინვალის იქით მდებარეობს, ყორნისის მიმართულებით. მიტინგს მაინც და მაინც ბევრი ხალხი არ დასწრებია. გიორგი მაჩაბლის შემდეგ ულაპარაკნია ცხინვალის კომისარ ყულუმბეგოვს (ოსი), რომელსაც ოსთა მოთხოვნილებისთვის უფრო მწვავე ხასიათი მიუცია. ამ მიტინგზე ტფილისიდან მოსულნი კირილე ნინიძე და გიორგი გაგლოევი მისულან. ოსებს ახალი მოთხოვნილება წაუყენებიათ, მოუთხოვნიათ: ხარებოვის და მთავრობის მამასახლისად ნამყოფ ფილიშვილის განთავისუფლება. (ამ ჟამად ხარებოვი უკვე განთავისუფლებულია საგუბერნიო კომისარის კ. ჯაფარიძის განკარგულებით და სად იმყოფება იგი არავინ იცის).

უკანასკნელად ულაპარაკნია ცხინვალის კომისარ ყულუმბეგოვს, მას უთქვამს: დაპირება კმარა, საჭიროა დაპირებულის დაუყოვნებლივ ასრულება, მოთმინება კმარაო. ბოლო სიტყვების დროს ორივე ხელი მაღლა აუწევია, ამ ნიშნის შემდეგ ატეხილა სროლა ორივე მხრიდან: ზღუდრის კლდიდან და ნაცარ-გორიდან. თავზარდაცემული ხალხი დაშლილა და მუცელზე ხოხვით მოშორებია მოედანს.

დაბინდებისას სროლა შეწყვეტილა. ცხინვალში სამარისებური სიჩუმეა.

დაღამებისას ცხინვალის ვენახებს ოთხივე კუთხით ცეცხლი მოსდებია.

დილით ხუთ საათზე დაუწყვიათ ბრბოსთან შებრძოლება. სხვა და სხვა მხრისკენ დაუგზავნიათ რაზმელები.

სროლა მხოლოდ ნაშუადღევის ოთხ საათზე შეწყვეტილა. წითელ რაზმელებს ტყვია-წამალი შემოჰკლებიათ.

ცოტა ხნის შემდეგ ოთხივე კუთხიდან ცხინვალში შეჭრილა გაშმაგებული ბრბო ველური ღრიალით და განგაშით. დაუწყვიათ ძარცვა-რბევა, ღრიალი, დუქნების მტვრევა, ყუმბარების სროლა (წითელ რაზმელების მხრით). ამტყდარა ყვირილი: „დაარტყით. მოკალით. ბრბო შეიარაღებულია. აქვთ „ვინტოვკები“ და ბერდენის თოფები. ბევრს სისხლიანი ხანჯლები, დანები და ხიშტები აქვს გაკეთებული ჯოხებზე. ძარცვა-რბევაში მონაწილეობას იღებენ ერთეული ქართველები“.

ალაგ-ალაგ ბრბოს უმკლავდებოდნენ გიორგი მაჩაბელი, კოსტა კაზაშვილი, ილია მაისურაძე და სხვები. მავთულები გორსა და ცხინვალს შუა წინადვე გადაეჭრათ და გორიდან მაშველ ჯარის მოლოდინი არავის ჰქონია. ხიდის ყურზე ტყვიისფრქვეველი მდგარა. აქ მძიმედ დაუჭრიათ გიორგი მაჩაბელი და შემდეგ საავადმყოფოს წინ მოუკლავთ. ამავე ადგილას გიორგისავით მოვალეობის მსხვერპლი გამხდარა კოსტა კაზაშვილიც. სანდრო კეცხოველიც ხიდის ყურზე მდგარა. მოუკლავთ ისიც და გაცივებული გვამი ბრბოს საშინლად დაუსახიჩრებია.

19 მარტი ასე საზარლად დამთავრებულა ცხინვალელთა და იქ მისულ წითელ გვარდიელებისთვის. გამარჯვებული ბრბოს დარჩენია და სრული ბატონ-პატრონი გამხდარა მთელის ცხინვალისა.

მეორე დღეს, 20 მარტს, დაუტყვევებიათ კ. ნინიძე, გ. გაგლოევი და პ. ეფრემიძე.

მთელს ცხინვალში ამ დროს გამეფებულა შიში და ძრწოლა, უიმედობა და სასოწარკვეთილება. ხალხს დამუქრებიან, თუ ხელი არ შეუშალეთ გორიდან ჯარის ამოსვლას, ყველას ამოგწყვეტავთო. ახლავე შეატყობინეთ, რომ აქ ჯარი საჭირო არ არისო.

20 მარტს ხალხი უკვე გახიზნულა ცხინვალიდან და ბრბოსაც თავისუფლად გაუზიდნია სხვის სარჩო-საბადებელი.

მათ უპატრონიათ ცხინვალში 22 მარტის შუადღემდე. რომელსაც გაუგიათ გორიდან წამოსულ ჯარის მოახლოვება, ლაჩრულად დაუტოვებიათ აოხრებული ქალაქი.

23 მარტის სროლის დროს მოკლულ იქმნენ შემდეგი წითელ გვარდიელები: ვასო გელაშვილი, ვარლამ მამალაძე, არჩილ მარგველაშვილი და ვანო კობულაშვილი. დაიჭრნენ: მიხეილ დვინერია, ეფრემ ბაშნიევი, ნიკოლოზ გამდლიშვილი, გიორგი ბაზაკაშვილი და ალექსანდრე ბასინაშვილი.

რბევა-ძარცვის დროს მიყენებული ზარალი ცხინვალისა სულ ცოტა ათ მილიონს მანეთს უდრის.

ცხინვალის კომისარი ყულუმბეგოვი ამ ჟამად დაპატიმრებულია შიგ ცხინვალში.

კორესპონდენცია

ხოშ, ქვემო ზავაზი. (თელავის მაზრა). ვინც დღემდის ხმას ამოიღებდა და მოუწოდებდა ხალხს შეკავშირებულ-შეიარაღებულიყვნენ და მზად ყოფილიყვნენ ყოველივე შემთხვევისთვის, ჩვენი აგიტატორები თავზედ კაკალს ამტვრევდნენ და, ვინ იცის, რა სახელს არ უწოდებდნენ. ხალხსაც, რასაკვირველია, სჯეროდა, რომ ყველა ჩვენი დიდი ძმა იყო და სდუმდა. ეხლა? როდესაც ოფიციალი ცნობით, რომ დაღესტანი ღელავს და ადვილად შეიძლება დღეს თუ ხვალ ჩვენს მეზობელ კახეთს ცეცხლით და მახვილით შემოესიონ, მშველელი არსაიდან სჩანს. ხალხი ისევ სდუმს და მშვიდობიანს შრომას მისდევს. სდუმს ჩვენი მთავრობაც. ამ ორი თვის წინად გაიგზავნა ძველ-გავაზიდან დეპუტაცია ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციაში და წარუდგინა გეგმა, როგორ შეიძლება აიცილოს კახეთმა მომავალი უბედურება. როგორც ვიცით, სექციამ მოახდინა სწრაფი კრება და გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, მაგრამ როგორც ეტყობა ეს ორი თვე არ არის საკმარისი სწრაფი ზომების მიღებისთვის. ეხლა თოვლი დნება, მთებზედ გადმოსვლა გაჭირვებით შეიძლება, ამ თოვლის დნობას მოჰყვა დაღესტნის ღელვა (რასაც ყველა ჭკვიანი მყოფელი მოელოდა). პირადი მოხსენება გავაკეთე ამის შესახებ თელავის მაზრის თავდაცვის კომიტეტში 23 მარტს. წევრები ამ კომიტეტისა, როგორც თავმჯდომარე ბ. ანდრონიკაშვილი, ძალიან გულ მხურვალედ მოეკიდნენ ამ საქმეს და გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ აცნობონ ტფილისს და მიიღონ საჭირო ზომები.

რა ვქნა, ცოდვილი კაცი ვარ და უნდა ვაღიარო, რომ ამ ერთი წლის მართვა-გამგეობამ ჩვენი უმრავლესი კომიტეტებისამ მიმაჩვია ყოველთვის მაფიქრებინოს, რომ ჩვენი კომიტეტების რეზოლიუციები რჩება რეზოლიუციებად და ცხოვრებაში არ ტარდება. ამ მოსაზრებით გადავწყვიტეთ მოვახდინოთ მთელი გამოღმა მხარის სოფლების, დიდოების და ენძება-კაპუტელების წარმომადგენლების კრება სოფელ ენისელში პირველ აპრილს. ვიმედოვნებთ, რომ ამ კრებაზედ გამოირკვევა რა გზას დავადგებით მომავალში. პირადად მე დიდს იმედებს არ ვამყარებ ამ ყრილობაზედ, რადგანაც ისევე იმ ძმობა-ერთობაზედ იქნება ლაპარაკი, რომელმაც ყური გაგვიჭედა და ნაყოფი არ მოგვიტანა. ჩემის ფიქრით უნდა დაუყოვნებლივ შეიკრას ძველი გავაზის, ყვარლის და შილდა-საბუის გზა. ამის განსაკუთრებლად ჩვენ ძალაც გვაქვს და იარაღიც. საჭიროა კარგი ხელმძღვანელნი და პატრონა-ტყვიამფრქვევლები. ამ უღელტეხილებზედ გადასვლა გადმოსვლა შეიძლება რტო უიარაღო ხალხს, როგორც ქალებს, აგრეთვე ლეკებს (რასაკვირველია, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვს). დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ თუ მომენტი გავუშვით და კახეთზე წამოსული მტერი კავკასიონის ქედს გადმოსცდა, კახეთს ვერაფერი ძალა ვეღარ იხსნის მაშინ, როდესაც თავის დროზედ მიღებული ზომები შეიძლება რამდენიმე ასეული კაცით უზრუნველ ჰყოფდა კახეთის მშვიდობიანობას.

ვ. ყიფიანი.

—

თელავი. [მა]რტის 25. დღეს დილით აქედან ორი ტყვიით წასულ 9 მონადირეს დახვდენ ჭალაში, ეგრეთ წოდებულ „მოსამძღ ხიდთან“ 8 შეიარაღებული ორი ყაჩაღები, ყველას იარაღი აჰყარეს და გაძარცვეს, მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა ტრინკაშვილმა სცადა გაძალიანება, მაგრამ ვიდრე ის აფეხდა სადღაც, ისევე ყაჩაღებმა მოასწრეს დანაკაპში დასჭრეს, ზურგში. ტყეში კიდევ სადაც იჯდა ცნობილი „ტყის ძმები“ მელადი ქორქიკა, რომელიც ყაჩაღების დანახვის უმალვე გადახტა ხტიდან, შეეფარა კლდეში, ამოეფარა ერთ ხეს და მოიმარჯვა მაუზერი, რა იქიდან შებრძოლებოდა დამცემებს, როდესაც ამ დროს, გავარდა თოფი ზედ უკან ჩასაფრებულ ერთი ყაჩაღისა, რომლის ტყვიამაც თავში მოხვდა ქორქიკას და იქვე უსულოთ დეცა. ეს ამბავი გვიჩვენებს, თუ არა თელავი მაშინვე შეიარაღებული წითელგვარდიელები და გამოუდგნენ ყაჩაღებს.

ალაზნისპირელი.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გაზეთ „ერთობის“ მე-59 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ბ. დვალისა. ავტორი ტყუილ-უბრალოდ ჩირქსა მცხებს, ვითომც მე არ მცოდნოდეს, რომ რესტორანში მომუშავე მზარეულებიც კავშირის წევრები არიან და სხვა. მოგახსენებთ ბ. დვალს, რომ ს. გიგიბერიამ კარგად იცოდა და ახლაც კარგად იცის, რომ მისი მზარეულები კავშირის წევრები არიან. რაც შეეხება კავშირის მოთხოვნილებებს 5 პროც. გადადებისა მზარეულების სასარგებლოდ ს. გიგიბერია მას წინააღმდეგი არ იყო არც წინად და არც სამედიატორო სამართლის წინაშე. ამას დაადასტურებს მზარეულების კავშირის თავმჯდომარე ი. მესხიძე, რომლისათვისაც არა ერთხელ გამიცხადებია, რომ იგი მიმხრე არის მზარეულების სასარგებლოდ პროცენტის გადადებისა.

ბ. დვალი ბრძანებს, ვითომ მე, გიგიბერია, მზარეულების კითხვის გარჩევის დროს ვყოფილიყავი მედიატორი. ეტყობა ბ. დვალმა არ იცის, რა არის მედიატორი, ან რას წარმოადგენს იგი. ს. გიგიბერია იმ დროს მედიატორად არ ყოფილა, არამედ დარბაზში იმყოფებოდა უბრალო ხმის უფლებით, იმავე უფლებით, რა უფლებითაც იყო აღჭურვილი თვითონ ბ. დვალი. იქნებ ამ უკანასკნელს ჰგონია, რომ იგიც მედიატორი იყო, რადგანაც სასამართლოს დარბაზში იმყოფებოდა?

ბ. დვალი ამბობს ვითომ გიგიბერია არავითარ ზომებს არ ერიდება მზარეულების დასამარცხებლად და რაც მზარეულთა კავშირი დაარსდა, ხან კავშირს არღვევს, ხან გადასცემს სამზარეულოს და სხვა. გავამხილებ, რომ ს. გიგიბერია არავითარ ზომებს არ ღებულობს და არც იღებს მზარეულების დასამარცხებლად. პირიქით, იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა მზარეულების მდგომარეობა გაუმჯობესდეს, რასაც დაადასტურებს თვით მესხიძე.

რაც შეეხება კავშირის შედგენას, ან რესტორანის გადაცემას, თვით გიგიბერიას არავითარი კავშირი არ შეუდგენია, და არც გადაუცია ვისთვისმე. პირიქით მზარეულების დიდის ხვეწნა და მუდარის შემდეგ, გადასცა მათ სამზარეულო, ბუფეტით ისიც ძლიერ შეღავათის პირობებში,—სულ არამეტეა 15 პროც. შემოსავლიდან. ნუ თუ ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ გიგიბერია ყოველ საშუალებას ხმარობს, რათა როგორმე დაამარცხოს თვისი მზარეულები?

ყველა ამის შემდეგ თავის მართლებას ზედმეტად ვთვლი. ფაქტიური მხარე ეს იყო და მსჯავრიც საზოგადოებამ დასდოს.

ს. გიგიბერია.

კალენდარი

შაბათი, მარტის

31

მე-27 დღე დიდი მარხვისა.

ქართვ. ღირს იპატი განგრის ეპისკოპოზისა და წმ. იოსებისა.

კათოლ. წმ. კორნელისა და იოსებისა.

სომეხ. 40 ყრმათა სებასტიელთა.

მაჰმად. შამბე 1 რ. რედჟებ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. შაბათ, 30 რ. ადარ 5678 წ. ქვეყნ. შექმნ. რაშიხოდეშა.

დედა

(ხუთ მოქმედებიანი პიესა)

მოქმედნი პირნი

როდამი, სიდაურიძიანთ ქვრივი
ნენე (სიდაურიძენი, როდამის შვი-
ლეო (ლები.
კოკო სიდაურიძე, როდამის შვილიშვილი.
[illegible]ლა, სოფელ არივისის მცხოვრები.
[illegible], სვრაანთ ქვრივი.
[illegible].
[მამა]სახლისი, მწერალი, გზირი, [illegible], მენახშირეები და არივისელები (მამაკაცები, დედაკაცები და გოგო-ბიჭები).

მოქმედება I

(მდელობი ადგილია. მოსჩანს სოფელ არივისის კანცელარია თავისი კარმიდამოთი. კანცელარიიდან დაწყებული [illegible] თანდათანობით ძირს ეშვება და [illegible] კალთად იშლება. კანცელარიის [illegible]ამოდამიდან მოყოლებული ქედის კალთაზე უწესრიგოდ ჩარიგებულა სახლებია. ქედის სერზე კანცელარიისაკენ მიმავალი გზაა. შორს მოსახლეობას მინდორი, ხევი და ტყით დაბურული მთა. დილაა. კანცელარიის ეზოში ხალხს თავი მოუყრია და ყაყანი ისმის).

სოლა (შემოდის კანცელარიის ეზოში) სად არის მამასახლისი? რათ დაგვიბარა?

ხალხიდან. ბრძანება მოსულა.

სოლა. აბა მაშ არა და ოქროები მოგვივიდოდა! თქვენ ეგ მითხარით, რის თაობაზეა ბრძანება, თორემ მე კი არ ვიცი რომ ბრძანება იქნება!

ხალხიდან. რა ვიცით სად არის. კარუკარ გზირი თავგადაგლეჯილი დარბოდა, მამასახლისი გიბარებთო, ბრძანება მოსულაო, მივდივართ და მამასახლისი აქ არ არის.

ხალხიდან ერთი ხმა. დუქანში შავიდა. პატარა უნდა შეგნაყოდეს, შიმშილით კეთი მეწყვისო.

მე-2 ხმა. მწერალიც თან ეყოლება.

მე-3 ხმა. მწერალი კი არა, დარაჯებიც თანა ჰყავს.

მე-4 ხმა. გადაჰკრამენ.

(გამოჩნდება მამასახლისი თავისი ამალით).

მე 5 ხმა. აგერ არ მოდიან!.. აზენავებულან.

(შემოდიან ეზოში მამასახლისი, მწერალი და დარაჯები).

მამასახლისი. მწერალო, ბრძანება წაუკითხე!

მწერალი (გამოიღებს უბიდან გაქონილს ქაღალდს და კითხულობს). სოფელ არივისის მამასახლისო, ამით გიბრძანებთ, რომ გამოუცხადოთ შენის სოფლის საზოგადოებას, ნუ ინახავენ ყაჩაღ სიდაურიძეს...

სოლა. ეს კარგი ამბავია! თურმე, ნუ იტყვით, ყაჩაღს ვინახავთ!

მწერალი (განაგრძობს). ვურჩევთ თვითონვე, თავიანთი ხელით მოგვგვარონ, თორემ...

სოლა. აი სამართალი თუ გინდა, ეგ არის! იარაღიანებს ვერა უქნიათ რა და გვეუბნებიან, თქვენ უიარაღონო, იარაღიანი მოგვგვაროთო!

მამასახლისი (სოლას) ჩუმად, თორემ ხომ იცი...

სოლა. თორემ რა?

მამასახლისი. მწერალო, ქვევით წაიკითხე!

მწერალი. ეკზეკუციას ჩაგიყენებთო.

ერთი არივისელი. ეგნახეს დაბალი ლობე და.

მე 2 არივისელი. ჩვენ სამარეში მოგვიყვანებთ!

მე-3 არივისელი. მამასახლისო, რატომ არ ეტყვი, რომ ჩვენ ყაჩაღებს არ ვინახავთ? მაშ რისთვის აგირჩიეთ?! მაშ რაღათ გვინდიხარ, თუ კი ქომაგობას არ გვიწევ?!

სოლა. მამასახლისი გაუწყრეს მაგასა!

მამასახლისი. შენ ეგა, რა ენა წაგიგძელებია?! მათრახები ხომ არ გინდა?!

სოლა. შენმა მზემ, მითომ სიდაურიძე გაგიმათრახებია!

ერთი მოხუცი (სოლას). კარგი, კაცო! რა წერას აუტანიხარ? რატომ არ გაჩუმდები.

მწერალი. რა პასუხს აძლევთ ამას (უჩვენებს ბრძანების ქაღალდზე).

სოლა. თოფი მამასახლისსა ჰქონია და მამასახლისმა მიჰგვაროს. თუ მაგის შნო არა აქვს, მოგვცეს თოფი და ჩვენ მივგვაროთ.

მამასახლისი. მოგცე, რომ მერე მომიშვირო და გადამაკოტრიალო ჰა!

სოლა. ნურაფერს დამაშავებ და არავინ გადაგაკოტრიალებს.

მამასახლისი (გულზე მისული ფეხებს უტყაპუნებს სოლასა). სუ, სუ! შე... შე... (გზირს) დაიჭი, ეხლავე დამწყვდე!

(გზირი სოლასთან მივა, ხელი უნდა წაავლოს).

სოლა (არ ნებდება). ხელი! თორემ ჰხედავ?! (იღებს სახრეს უჩვენებს, გზირი უკან იხევს) თვითონ მამასახლისი მობრძანდეს თავისი თოფით, თუ ბიჭია!..

(გზაზე გამოჩნდებიან მენახშირეები: ორ ვირზე საკაცე გადმოკრულა და ვიღაც მოასვენებენ; ხალხში ჩოჩქოლი ატყდება. ისმის ხმები: „რა ამბავია?.. რა ამბავია“? ყვირილზე ახლო-მახლო სახლებიდან დედაკაცები და გოგო-ბიჭები გამოდიან. მორბიან შორეულ სახლებიდანაც. მენახშირეები კანცელარიის ეზოში შემოდიან. ხალხს გარს ეხვევა).

ერთი მენახშირე. რა ამბავია და კაცია მოკლული.

ერთი არივისელი. მერე კაცო, ვინაა?!

მე-2 არივისელი (საკაცეს თავს ტომარას გადახდის და წამოიძახებს): კაცო, ეს ხომ სვრაანთ ბიჭია!.. გაგუნა. საწყალი. მაგის დედას მაგაზე მეტი ვინდა ჰყავდა!

ერთი დედაკაცი. ვინ დაიდო, ქა, იმ ადამიანის ცოდო?!

ერთი მენახშირეთაგანი. ვინა და სიდაურიძიანთ ლეომ!

მეორე დედაკაცი. უი, შენ დედამა, ბიჭო!.. ღმერთო, რა გახდა, რა გახდა. დღე ისე არ გავა, ქა, რომ იმ ამოსაგვარებელმა სოფელს ზიანი არ მიაყენოს!

(მენახშირეები საკაცეს ვირებს მოხსნიან და ძირს დაასვენებენ).

მამასახლისი (უკვე გამოფხიზლებული მენახშირეებს). სად იპოვეთ? ან საიდან იცით, რომ სიდაურიძემ მოჰკლა?

ერთი მენახშირეთაგანი (გაიშვერს თითს მთისაკენ). აგე, იმ ტყეში!.. დილით ადრე ნახშირის გამოსაზიდად მივდიოდით. ვიწრო ბილიკზე, აი სოფელ წყაროსკენ რომ მიდის, იქ ეგდო. ჯერ ისევ სული ედგა და კვნესოდა. ფეხის ხმა რომ გაიგონა, მიშველეთო, დაიყვირა. ჩვენც მივცვივდით. რაი იყო, კაცო, ვინ გიყო-მეთქი, ვკითხე. ლეომაო.. სხვა ვეღარ გვითხრა საწყალმა, გონება დაჰკარგა... ჩვენ ნახშირის ტომრებით საკაცე შევკარით და მაშინვე წამოვიყვანეთ —გზაში ერთი კიდევ მოიხედა: წყალიო, წამოიძახა და გათავდა.

ერთი დედაკაცი. შეატყობინეთ დედას, ქა!.. საწყალი ნენე!.. მეშველა, შვილი დამინიშნე, იძახდა... ალბად, ქა, ეხლაც დანიშნულთან თუ მიდიოდა!.. წიფლოვანში ჰყავს დანიშნული, მონაშენაანთ ქალია.

მე 2 დედაკაცი. ამ საცოდავს იქ რა მიაბრძანებდა?!. არივისში ცოტანი არიან [illegible]?!. ვინ დაუჭირავა?!

მე-3 დედაკაცი. ნეტავი შენ!.. (ისმის შორიდან „ვაიმე შვილოს“ ძახილი).

მე-4 დედაკაცი. ნენე მოდის, ქა. (გამოჩნდება ნენე. ხალხი გაირღვევა და გზას აძლევს).

ნენე. (მივარდება საკაცეს ტირილით). შვილო!.. ხმა გამეც, ხმა!.. რატომ ხელები არ დამიწვდება შენ მკვლელისა?!. შვილო, რაღა პასუხი გავცე შენ დანიშნულს?!. ხალხნო, მიშველეთ!.. შვილო, რად თუ მინდა თავი ცოცხალი (ერთი მენახშირეს ხელიდან თოკს გამოჰგლეჯს და ყელზე იხვევს, ხალხი [illegible]).

მამასახლისი. (ნენეს თოკს ხელიდან გამოჰგლეჯს). რას სჩადი შე უბედურო?!. (ხალხს) რა ღმერთი გიწყრებათ?!. დაიჭირეთ [illegible]!..

ერთი დედაკაცი. ვაი ქა!.. მერე, ქა, სულ ეს ტრიალი რჩება...

(გამოჩნდება წარმოსადეგი ხანში შესული მანდილოსანი ასე 55 წლისა იქნება, თავშალი აცვია, თავი მაღლა უჭირავს. წარბებს შუა ნაოჭი აქვს ჩამჯდარი. ხალხს აუჩქარებლივ უახლოვდება).

გოგო. (შეკრთება) დიდი დედა!

ხალხში. როდამი!.. სიდაურიძიანთ როდამი! (ყველგან სიჩუმე ჩამოვარდება. ისმის მარტო ნენეს მოთქმა).

ნენე. [illegible], შვილო, მე მოგიკალი. შენ მაგიერად იმ უბედურს!.. ნეტავ რა [illegible] სისხლის მსმელმა!.. შვილო, რატომ თავში არ ახალე ყველა ფერი, რაც [illegible] (დაინახავს როდამის [illegible]). ოოო!.. ღვთის [illegible], ღვთის [illegible] ძუძუებმა!.. დატანჯე სულით! ვერა ნახო შენ მოსვენება, ვერც სააქაოს და ვერც საიქიოს! ხვთის რისხვა არ აგცილდეს, ხვთის რისხვა! რატომ შენივე კბილებით არ დაგლიჯე მაგ შენ ხორცისა?!. შენ კი ჩაგივარდეს ჯანში ცეცხლი, სოფელს რომ ავეთი ჯოჯოხეთი მოუვლინე!.. რატომ მუცელშივე არ გაგიწყალდა?!.

ხალხში აქეთ-იქიდან. (ნენეს) სუ, ადამიანო! მაგისი რა ბრალია?! სუ, სუ!

ნენე. (გაოგნებული) როგორ თუ სუ?!.

როდამი. (წყნარად, მკვეთრის ხმით ხალხსა) ნუ უშლით! დეე დამწყევლოს. გულს ეფონება... იქნება მაგით მაინც ანაზღაურდეს ჩემი შვილის ბოროტი საქმენი. იქნება მაგითი ჩემ სულს რამე შვება მიეცეს. ვინ იცის იქნება სააქაოს ღირსეულმა სასჯელმა, მე, ცოდვილს ადამიანს საიქიოს ტანჯვა შემიმციროს. (ხალხი გზას აძლევს. როდამი საკაცესთან მივა, საკაცეზე მდებარეს ხელს დაადებს, მერმე მკერდზე ყურს დაადებს და პირზე ღიმი გადეფინება) ცოცხალია!.. სისხლი ბევრი დაუკარგავს და გული წასვლია.

ნენე. შვილო, ცოცხალი ხარ?!. რატომ ხმას არა მცემ!..

როდამი. თუ გინდა შვილი მოგიბრუნდეს, ნუ შეაწუხებ... (მამაკაცებს) ოთხმა აწიეთ... (ხალხსა) ნუ გამომყვებით (აწევენ საკაცეს და მიაქვთ, წინ როდამი მიუძღვის).

ნენე. (საკაცეს უკან გაჰყვება და როდამს უძახის) ოოო!.. ოღონდ მომიბრუნე, ოღონდ მომიბრუნე და სამუდამოდ შენთვის ვილოცებ!..

(ხალხი ნელნელა იშლება).

(ფარდა)

ან—ბანა.

1916 წ.

(გაგრძელება იქნება)

„საქართველოს“ [illegible] გაზეთის შემსრულები 4.